



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

(ნაშრომი შესრულებულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

ნაშრომის ავტორი: რუსუდან ტატუაშვილი - თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო
პროგრამის სტუდენტი;

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ირინა აქუბარდია - ივ.ჯავახიშვილის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის
დოქტორი.

თბილისი

2019 წელი

ანოტაცია

ნაშრომში გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები, მისი პროცესუალური როლი და სტატუსი.

განხილული საკითხები ეძღვნება დაზარალებულის უფლება - მოვალეობებს, ასევე მის როლს პროკურორის მის დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას, დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის გამომწვევ მიზეზებს და მისი თავიდან აცილების გზებს. ნაშრომში წარმოდგენილია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზები სამართლებრივი და სოციალური მექანიზმების, ასევე საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით.

აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობა აღიარებულია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, ამ პროცესში დაზარალებულის ჩართულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბრალდებულისა და დანაშაულის მსხვერპლის საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად რეინტეგრაცია წარმოუდგენელია ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედების მონანიების და დაზარალებულისთვის შიშის გრძნობის გაქრობის გარეშე.

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა რეფორმებმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ და პრაქტიკაში არსებულმა მიდგომებმა დაზარალებულის უფლებების გაუმჯობესების კუთხით გარკვეული ეფექტი იქონია, თუმცა, კვლავ რჩება პრობლემური საკითხები, რაც მომავალში აუცილებლად უნდა გადაიხედოს კანონმდებლის მიერ.

სარჩევი

შესავალი	6
თავი I. დაზარალებულის უფლებამოსილება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	8
1.1 დაზარალებულის ცნება.....	8
1.2 დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები	10
თავი II. დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად	15
2.1 დაზარალებულის ცნება.....	15
2.2 დაზარალებულად ცნობის საპროცესო წესი	17
2.3 დაზარალებულის საპროცესო უფლებები.....	25
2.3.1 ინფორმაციის გაცნობის უფლება	27
2.3.2 საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება.....	30
2.3.3 გამოძიების მიმდინარეობის და საქმის მასალების გაცნობის უფლება.....	32
2.3.4 დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართვის უფლება და შესაძლებლობა ...	34
2.3.5 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება	36
2.3.6 დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას	40
2.3.7 დაზარალებულის უფლება ისარგებლოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორით	43
თავი III. დაზარალებულის უფლებები აღდგენითი (რესტიტუციული) მართლმსაჯულების პროცესში	44
3.1 აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობა.....	44
3.2 დაზარალებულის ჩართულობა მედიაციის პროცესში	46
თავი IV. დაზარალებულის როლი პროკურორის მიერ დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას	49
4.1. პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება	49
4.2 პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების პრობლემატიკა.....	55

თავი V. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსის შესახებ	58
თავი VI. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და უფლებამოსილება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის საპროცესო კანონმდებლობაში	62
6.1 დაზარალებულის საპროცესო მდგომარეობა საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში	62
6.2 დაზარალებულის უფლებამოსილება კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში	63
დასკვნა და რეკომენდაციები.....	66
ბიბლიოგრაფია	68

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურა

სსსკ. - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

სსკ.- სისხლის სამართლის კოდექსი;

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო;

ა.შ - ასე შემდეგ;

ე.წ - ევრეთ წოდებული;

მაგ. - მაგალითად;

ე.ი- ესე იგი;

წ.- წელი;

გვ. - გვერდი;

ავტ. - ავტორი.

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. კონსტიტუციის უპირატესი მიზნის – ხელისუფლების თვითშეზღუდვის – მისაღწევად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების სწორად გააზრება, იმის შეცნობა, რომ პიროვნება არის კონსტიტუციის უმაღლესი ფასეულობა. საქართველოს კონსტიტუციის ნორმების სწორად გაგება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნის საშუალებას იძლევა, რაც პიროვნების პატივისა და ღირსების შეუქცევად დაცვას უზრუნველყოფს.¹ სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა და ამით მისთვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. უფლებების დაცვა კი პირველ რიგში, დაზარალებულზე ზრუნვით და სახელმწიფოს მხრიდან მსხვერპლის მხარდაჭერით გამოიხატება. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად საქართველომ მართლმსაჯულების კუთხით, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის განკუთვნილი რეფორმების გატარების ვალდებულება იკისრა, რაც ასევე გულისხმობს დაზარალებულის სტატუსის მატარებელი პირებისთვის ეფექტიანი დაცვის მექანიზმების შექმნას.² დაზარალებულის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია ევროპული და ამერიკული მართლმსაჯულების სისტემებისთვისაც, რაც დაზარალებულის, როგორც სამართლის სუბიექტის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. დაზარალებულის უფლებების დაცვის გარეშე შეუძლებელია სამართლიანი განხილვის და სრულყოფილი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. სამართლიანი სასამართლოს უფლება იცავს არა მარტო ბრალდებული/მსჯავრდებულის ინტერესებს, არამედ ორიენტირებულია საერთო ჯამში საქმის სამართლიანი და მიუკერძოებელი განხილვისკენ, რაც ასევე დაზარალებულის პროცესში აქტიურად ჩართვას და მისი დაცვისთვის გარანტიების შექმნას გულისხმობს. დაზარალებულის ცნება ფართოდაა გავრცელებული, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში ისე იურიდიულ ლიტერატურაში. დაზარალებულს, პირს, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ზიანი მიაღდა, შეუძლია გამოვიდეს

¹ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013 წელი, გვ.5

² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014 წელი, მუხლი 13.

როგორც სისხლის სამართლის პროცესუალურ ურთიერთობებში, ასევე სამართლის სხვა დარგების სამართლებრივ ურთიერთობებში.³

ნაშრომის აქტუალობა - ქართულ კანონმდებლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელიც დაზარალებულის სტატუსს და უფლებრივ მდგომარეობას შეეხო, აქტუალური გახადა აღნიშნული საკითხი. დაზარალებული პროცესის აქტიური მონაწილიდან, პროცესის მხარიდან უუფლებო სუბიექტად გადაიქცა, რომელიც კანონმდებელმა მინიმალური უფლებებით აღჭურვა. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა დაზარალებულის უფლებების ზრდის ტენდენცია, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოვლინდა.

დაზარალებულის უფლებების დაცვა, მისი პროცესის აქტიურ სუბიექტად ქცევა, მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, რადგან არ მოხდეს არც ერთი პირის, განსაკუთრებით კი მსხვერპლის უფლებების შელახვა. ამისათვის აუცილებელია, დაზარალებულს გააჩნდეს საკუთარი უფლებების დაცვის ხელშესახები ბერკეტები, რომლებიც არ იქნება ფორმალური ხასიათის და არ წარმოქმნის აღსრულების პრობლემას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დაზარალებულის ცნების, მისი უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა ქართული კანონმდებლობის მიხედვით. იმის გაანალიზება თუ რა შესაძლებლობები არსებობს დაზარალებულის და მსხვერპლის უფლებების დაცვისთვის და რა ხარვეზებია ეროვნულ კანონმდებლობაში ამ კუთხით. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია დაზარალებულის ცნების, მისთვის ფართო უფლებების მინიჭების და შემდგომ უუფლებო სუბიექტად გადაქცევის გზები, ქართული მართლმსაჯულების სისტემის ცვლილების ფონზე. ინკვიზიციური სისხლის სამართლის პროცესიდან შეჯიბრებითზე გადასვლამ სრულიად შეცვალა სახელმწიფოს დამოკიდებულება დაზარალებული პირების მიმართ და პროცესში მხარის სტატუსის ჩამორთმევასთან ერთად გარკვეულწილად მისი იგნორირებაც მოახდინა.

კვლევის მეთოდები - ნაშრომზე მუშაობისას შესაბამისი სამართლებრივი ლიტერატურის და ნორმატიული მასალის გააზრების და მათი ანალიზისთვის გამოყენებულია ანალიტიკური მეთოდი. ასევე შედარებითი - ისტორიული და შედარებით - სამართლებრივი კვლევის მეთოდები. ნორმის განმარტებისას გამოყენებულია ისტორიული, ტელეოლოგიური და სისტემური განმარტების ხერხები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა - მოცემული ნაშრომი შედგება შესავლის, 6 თავის, 18 პარაგრაფის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 73 გვერდს.

³ ა.მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში“, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003 წელი, გვ.508

თავი I. დაზარალებულის უფლებამოსილება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

1.1 დაზარალებულის ცნება

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა, რომლის უფლებებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იყო დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. დაზარალებულის სტატუსს და მის უფლებრივ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას. დაზარალებულის ცნება როგორც ძველ, ასევე სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში ერთნაირად არის განმარტებული, რასაც ვერ ვიტყვით მის სტატუსზე და უფლებრივ მდგომარეობაზე.⁴

დაზარალებულის ცნების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ რა ადგილი ეკავა დაზარალებულს ადრე მოქმედ კოდექსებში. სისხლის სამართლის საბჭოთა კანონმდებლობა არსებითად ზღუდავდა დაზარალებულის უფლებებს. იგი დაზარალებულის ცნებასაც კი არ განსაზღვრავდა. პირს დაზარალებულად ცნობდნენ მხოლოდ კერძო ბრალდების საქმეებზე. მსხვერპლს საქმეში მონაწილეობა შეეძლო მხოლოდ ორ შემთხვევაში - კერძო ბრალდების საფუძველზე აღძრულ საქმეში და სამოქალაქო სარჩელის წარდგენისას, დანარჩენ შემთხვევაში დაზარალებულს მოწმის მდგომარეობა ეკავა. არსებითი ცვლილებები განხორციელდა 1960 წელს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სადაც პირველად განისაზღვრა დაზარალებულის ცნება. ამ ყველაფერმა უზრუნველყო დაზარალებულის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა.⁵ საქართველოს სისხლის სამართლის 1998 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებული წარმოადგენდა მხარეს პროცესში და აღჭურვილი იყო ფართო უფლებამოსილებით. აღნიშნული კოდექსი მნიშვნელოვნად განსხვავდება დღეს მოქმედი კოდექსისგან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით და ინკვიზიციური პროცესიდან შეჯიბრებითზე გადასვლამ განსაკუთრებით შეზღუდა დაზარალებულის უფლებები. იგი აღარ გვევლინება როგორც მხარე და მხოლოდ პროცესის მონაწილის სტატუსით სარგებლობს. ათწლეულების მანძილზე, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული უფლებრივად საკმაოდ ძლიერ სუბიექტად გვევლინებოდა. დაზარალებულის უფლებები იმდენად

⁴ დ. კარიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), გვ.139

⁵ ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში“, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003 წელი, გვ.506

ფართო სპექტრის იყო, რომ ის ბრალდების მხარეს წარმოადგენდა და შეეძლო სუბსიდიური ბრალმდებელიც კი ყოფილიყო.⁶

სისხლის სამართალი საჯარო ბუნებისაა, ეს გულისხმობს, რომ დანაშაულის გახსნის, ჭეშმარიტების დადგენის და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესი არსებობს. საჯაროობასთან ერთად საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ასევე დისპოზიციურ სანქისაყ. შეჯიბრებითობის პრინციპისგან განსხვავებით, დისპოზიციურობა არ განიხილებოდა სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპად, მაგრამ იგი წარმოადგენდა შეჯიბრებითობის განხორციელების ერთგვარ წესს. დისპოზიციური სანქისის ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და შეწყვეტა დამოკიდებული იყო დაზარალებულის პოზიციაზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორი ჩაებმებოდა საქმეში.⁷

საქართველოს 1998 წლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ანდა, რომელსაც ასეთი ზიანი მიაცენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა.⁸ დაზარალებულის 1998 წლის კოდექსისეული ცნება განსხვავდება დღეს მოქმედი ცნებისგან, კერძოდ, ადრე მოქმედი რედაქციით პირს ზიანი შეიძლება მისდგომოდა, როგორც შეურაცხადი დამნაშავის ქმედების, ასევე შეურაცხადი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებითაც, რაც გულისხმობს, რომ მხოლოდ ბრალეული ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი არ იწვევდა პირის დაზარალებულად ცნობას, ასევე არაბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანიც ხდებოდა პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი. შეურაცხი კი შეიძლება ყოფილიყო ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში მოქმედი, ფსიქიკური ნაკლის ან ბრალეულობის ასაკს მიუღწეული, პირი. დაზარალებულის უფლებამონაცვლის არჩევის საკითხი ძველი და დღეს მოქმედი რედაქციით ერთნაირად არის მოწწერიგებული. დაზარალებულის ახლო ნათესავს ენიჭება დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი და სარგებლობს მისი უფლებებით და ეკისრება მისი მოვალეობები.

⁶ ი.ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N2(37), გვ.118

⁷ ბ.მეურმიშვილი, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წელი, გვ.40

⁸ საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

1.2. დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები

1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მიხედვით, სისხლისამართლებრივი დევნა შეიძლება ყოფილიყო საჯარო, სუბსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო.

საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნა პროკურორისა და გამომძიებლის მიერ ყველა კატეგორიის საქმეზე მიმდინარეობდა. ამ დროს დაზარალებულის პოზიციას არ ჰქონდა მბოჭავი ძალა. 1998 წლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა საჯარო სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებასთან დაკავშირებულ ორი სახის საჩივარს: საჩივარი დევნის დაწყების მოთხოვნით და საჩივარი სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების შესახებ. სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით საჩივრის შეტანის საფუძველს წარმოადგენდა პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ პირის ბრალდებულად სისხლისამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოუტანლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე უკვე შეკრებილი იყო საკმარისი მტკიცებულებები საჯარო სისხლისამართლებრივი დევნის დასაწყებად. ამასთან, ბრალდების წარდგენისათვის საჭირო მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება საბოლოოდ საჩივრის განმხილველი ორგანოს ან თანამდებობის პირის პრეროგატივას წარმოადგენდა. საჩივრის შეტანა შესაძლებელი იყო ზემდგომ პროკურორთან ან სასამართლოში, ხოლო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება კი სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-5¹ ნაწილის საფუძველზე გააჩნდათ დაზარალებულს, დაზარალებულის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს და იმ პირს, რომლის მიმართაც ხდებოდა მტკიცებულებათა შეგროვება.⁹ დღეს მოქმედი კოდექსით აღნიშნული უფლებით მხოლოდ ბრალდებული სარგებლობს და დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას მიმართოს ზემდგომ პროკურორს დევნის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება დაზარალებულის ჩართულობას პროცესში, 1998 წლის კოდექსი ითვალისწინებდა სუბსიდიური ბრალდების ფუნქციას, ამ დროს დაზარალებული ითვლებოდა ბრალდების მხარედ, რის გამოც კანონმდებელმა იგი მიიჩნია ე.წ. „დამატებით“ - სუბსიდიურ ბრალმდებლად. სუბსიდიური ბრალმდებლის ფუნქცია გამოიხატებოდა იმაში, რომ დაზარალებულს და მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ მხარი დაეჭირათ პროკურორის მიერ ფორმულირებული სახელმწიფო ბრალდებისათვის. თუ პროკურორი უარს იტყოდა ან შეცვლიდა ბრალდებას, სურვილის შემთხვევაში, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი მხარს უჭერდნენ

⁹ბ.მეურმიშვილი, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამომძიებლის სტადიაზე), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წელი, გვ.43-44

წინანდელ ბრალდებას.¹⁰ დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი ბრალდების ფუნქციას ითავსებდა და სასამართლოში ბრალდების პოზიციის დაფიქსირებას ცდილობდა. დაზარალებული სუბსიდიური ბრალმდებელი მხოლოდ სასამართლო ეტაპზე იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მე-8 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან კერძოდ, 24-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, თუ პროკურორი სასამართლოში უარს იტყოდა ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებული იყო შეენწყვიტა სისხლის სამართლის საქმე ან გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნული გამორიცხავდა დაზარალებულის მიერ სუბსიდიური ბრალმდებლის ფუნქციის შეთავსებას, მაგრამ კოდექსის 25-ე მუხლი აკონკრეტებდა, რომ თუ პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე ან შეცვლიდა ბრალდებას, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება ჰქონდათ სასამართლოში მხარი დაეჭირათ წინანდელი ბრალდებისთვის. ასეთ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა, ხოლო პროკურორს უფლება ჰქონდა არ მიეღო მონაწილეობა საქმის შემდგომ განხილვაში. სსსკ-ს 24-ე მუხლში არსებული ხარვეზი 25-ე მუხლის ჩანაწერით გამოსწორდა.¹¹

დაზარალებულის აქტიური როლით და ჩართულობით მიმდინარეობდა კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა. საჯარო ინტერესის პარალელურად კერძო პირის ინტერესებიც განმსაზღვრელი იყო, შესაბამისად ხორციელდებოდა დისპოზიციურობის პრინციპი. დისპოზიციურობის პრინციპის დროს დაზარალებულის როლი გაძლიერებულია, კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და სამართალწარმოების მიმდინარეობისას მის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.¹² იმ შემთხვევაში, თუ საქმე განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის იყო ან დაზარალებულს თავად არ შეეძლო საჩივრის შეტანა პროკურორს დაზარალებულის საჩივრის გარეშეც შეეძლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულებზე როგორცაა გაუპატიურება, სქესობრივი კავშირის ან სხვაგვარი მოქმედების იძულება, პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა და ა.შ. გარდა აღნიშნულისა, კერძო ბრალდების საქმეებზე, ისეთი როგორებიცაა სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით (ჯანმრთელოსების მსუბუქი დაზიანება) და 125-ე მუხლით (ცემა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და წყდებოდა ბრალდებულთან

¹⁰ იქვე, გვ. 45

¹¹ ბ. მეურმიშვილი, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წელი, გვ. 46

¹² იქვე, გვ. 47

მისი შერიგების გამო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებდა, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში.¹³ კერძო სისხლისსამართლებრივი დევნისას გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას წარმოადგენდა. დაზარალებულს საჩივარი შეჰქონდა უშუალოდ სასამართლოში და ბრალდების მტკიცების ტვირთიც მისი მოვალეობა იყო. თუ კერძო ბრალდების საქმეზე მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებდნენ, მოსამართლე თავისი დადგენილებით დაზარალებულს ბრალდებულადაც სცნობდა და ბრალდებულს დაზარალებულადაც.¹⁴ კერძო ბრალდების საქმეთა წარმოების მარეგულირებელი ნორმები, 1998 წლის სისხლის სამართლის პროცესში, ცალკე კარში იყო მოთავსებული - ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი და ცალკე თავი ეთმობოდა - კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება, რაც კერძო ბრალდების მნიშვნელობაზე მიუთითებს და შესაბამისად დაზარალებულის სტატუსს და მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

1998 წლის 20 თებერვლის კოდექსით სისხლისსამართლებრივი დევნის რამდენიმე სახე არსებობდა და თითოეულის განხორციელების დროს დაზარალებული გარკვეული უფლებებით სარგებლობდა, საჯარო დევნის სახე დღევანდელი სისხლისსამართლებრივი დევნის მსგავსი იყო, დაზარალებული ამ შემთხვევაში პასიური დამკვირვებლის როლში გვევლინებოდა, რაც შეეხება სუბსიდიურ, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის სახეებს აქ დაზარალებულს აქტიური პოზიცია ეკავა და ბრალდების მხარის ფუნქციებს სრულად ითავსებდა, განსაკუთრებით მისი როლი გაზრდილი იყო კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს. დაზარალებულის აქტიური როლი ინკვიზიციური პროცესის პრინციპებით აიხსნება. დაზარალებული თავისი ჩართულობით ემსახურებოდა სრულფასოვანი მატერიალური ჭესმარიტების დადგენას.¹⁵

რაც შეეხება პირის დაზარალებულად ცნობის წესს, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის უფლება ჰქონდა პროკურორს, გამომძიებელს ან მოსამართლეს. მოსამართლე აღნიშნული უფლებით სარგებლობდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სასამართლო კამათის დაწყებამდე. 1998 წლის სსსკ-ის 69-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს უფლება ჰქონდა

¹³ ი.ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N2(37), გვ.118

¹⁴ ბ.მეურმიშვილი, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წელი, გვ.49

¹⁵ მ. ჰეგერი, ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობებში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი - www.dgstz.de, 2016 წელი, გვ.4

გასაჩივრებინა პროკურორთან, საჩივრის უარყოფის შემთხვევაში კი ზემდგომ პროკურორთან გამომძიებლის და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, ხოლო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში სასამართლოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირს შეეძლო დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორის გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან და გარკვეულ შემთხვევაში, სასამართლოში გასაჩივრებაც.

დაზარალებულს და მისი უფლებამონაცვლეს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ჰქონდათ გარკვეული უფლებები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს ჰქონდათ ისეთი უფლებები როგორცაა: უფლება-მოვალეობების განმარტების უფლება; ჩვენების მიცემის და განმარტების უფლება; აცილების გაცხადების უფლება; ტკიცებულებათა გამოთხოვის, სასამართლო და საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების, საქმის გარემოებათა შემონმებისა და სამართალწარმოების დროს წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება; მტკიცებულებათა წარმოდგენის და საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის უფლება; გასაჩივრების უფლება; პირისათვის ბრალის წაყენების შემდეგ ბრალდების არსის ცოდნის უფლება; თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღების უფლება; საქმის მასალების ასლებისა და მატკიცებულებების გაცნობის უფლება; სასამართლო განხილვაში (სამივე ინსტანციის საქმეთა განხილვის დროს) მონაწილეობის მიღების უფლება; სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება; საპროცესო ხარჯების ანაზღაურების უფლება; გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას დროებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნების უფლება; დაცვის ღონისძიებაში ჩართვის უფლება.¹⁶

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა დაზარალებულის წარმომადგენლის ინსტიტუტსაც. გათვალისწინებული იყო დაზარალებულის ინტერესების დაცვა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში ადვოკატის მონაწილეობით. იმავდროულად, კანონმდებლობა არ ზღუდავდა დაზარალებულს, რომ შეერჩია რამდენიმე ადვოკატი. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენდა ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას იმ შემთხვევაში, როდესაც: დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, ქმედუვნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი; დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა; ასევე, ადამიანით ვაჭრობის ან არასრულწლოვნით ვაჭრობის დანაშაულის გამო, პირის დაზარალებულად ცნობის

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლი

შემთხვევაში. დაზარალებულის ინტერესების დაცვის უფლება ჰქონდა მის კანონიერ წარმომადგენელსაც.¹⁷

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაზარალებულად ცნობის შემდეგ წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოჰქონდა დადგენილება (განჩინება) დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, ხოლო თუ პირი დაზარალებულად ცნობამდე წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს, მაშინ პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) უფლებამოსილი იყო: მიეღო ერთი დადგენილება (განჩინება), სადაც პირს ერთდროულად მიანიჭებდა როგორც დაზარალებულის, ისე სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსს, ან გამოეტანა ცალ-ცალკე დადგენილებები (განჩინებები) პირის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.¹⁸

უფლებებთან ერთად დაზარალებულს და მის უფლებამონაცვლეს ეკისრებოდათ ვალდებულებებიც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლში მოცემული იყო აღნიშნული ვალდებულებების ჩამონათვალი, კერძოდ, დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ვალდებული იყო გამოცხადებულიყო გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით, გულახდილად ეცნობებინა ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცოდა და პასუხი გაეცა დასმული შეკითხვებსთვის; არ გაემჟღავნებინა საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილებული იყო პროცესის მწარმოებელმა ორგანოსგან; დაზარალებულის არასაპატიო მიზნით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მისი იძულებითი მიყვანა, ასევე მისი გამოუცხადებლობა საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე არ აბრკოლებდა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას; დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისთვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა; დაზარალებულის შემონმება, ექსპერტიზა, დაკავშირებული გაშიშვლებასთან, აგრეთვე სირცხვილის გრძობის გამომწვევი სხვა მოქმედება შეიძლება ჩატარებულიყო მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით.¹⁹

¹⁷ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბილისი, 2016 წელი, გვ.7

¹⁸ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თბილისი, 2016 წელი, გვ.6

¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლი.

თავი II. დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად

2.1 დაზარალებულის ცნება

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელმაც განსხვავებული მიდგომები დაამკვიდრა რიგ საკითხებში, მათ შორის დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის მხრივაც. დაზარალებული, რომელიც ადრე მოქმედი კოდექსით ბრალდების მხარედ გვევლინებოდა და სუბსიდიური ბრალმდებლის ფუნქციასაც ითავსებდა, ცვლილებების მიხედვით საერთოდ აღარ სარგებლობს მხარის სტატუსით და პროცესის უბრალო მონაწილეა. მისი უფლებების დაცვა მთლიანად პროკურორზეა მინდობილი.

სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

2012/29/EU დირექტივა „დანაშაულის მსხვერპლში“ მოიაზრებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მსხვერპლს, რომელიც შეიძლება იყოს „ფიზიკური პირი, რომელმაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სულიერი ტკვილი ან ეკონომიკური დანაკარგი“ (მუხლი 2, პუნქტი „ა“, ქვეპუნქტი „i“) ან „ოჯახის წევრი იმ პირისა, რომელიც უშუალოდ დანაშაულის შედეგად გარდაიცვალა და რომლის გარდაცვალებით პირს მიადგა ზიანი“ (მუხლი 2, პუნქტი „ა“, ქვეპუნქტი „ii“). ამასთან, ზიანს მხოლოდ მაშინ ეწნება ადგილი, თუ გარდაცვლილსა და მის ნათესავს ერთმანეთთან მჭიდრო ემოციური ურთიერთობა ჰქონდათ ან ნათესავი ფინანსურად იყო დამოკიდებული გარდაცვლილზე.²⁰

2010 წელს მიღებულმა კოდექსმა სრულიად შეცვალა დაზარალებულის როლი და სტატუსი სამართალწარმოების პროცესში. დაზარალებულს უფლებების დიდი ნაწილი ჩამოერთვა, რისი გამოსწორების მცდელობადაც უნდა მივიჩნიოთ 2014 წელს განხორციელებული რეფორმები. დაზარალებულის უფლებების გაფართოებისთვის გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა 2013-2014 წლებში, კერძოდ 2013 წელს მომზადდა კანონპროექტი, რომლის მიზანი იყო „დაზარალებულის ინსტიტუტის გაძლიერება, და დაზარალებულის ინტერესების მაქსიმალური დაცვა შეჭიბრებითობის და სსსკ-ის სხვა პრინციპების გათვალისწინებით. იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ სსსკ-ის

²⁰European Commission, DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 – 19/12/2013, p. 10).

თანახმად, დაზარალებული არ წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოების მხარეს, მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს ჰქონდეს მთელი რიგი უფლებები, რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და რაც არ ეწინააღმდეგება შეტიბრებით პროცესს.”²¹ აღნიშნული კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ არსებობდა დაზარალებულის უფლებების და ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი მექანიზმები.²²

კანონპროექტით განისაზღვრა პირისათვის შემდეგი უფლებების მინიჭების საკითხი: დაზარალებულად ცნობის შესახებ პროკურორის უარის შემთხვევაში მისი დადგენილების გასაჩივრების უფლება; პროკურორის დადგენილებების სასამართლოში გასაჩივრების უფლება; ზიანის შესახებ ჩვენების მიცემისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება; საქმის მასალების გაცნობის უფლება; სხდომის დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნის უფლება; უფლებების განმარტების უფლება; დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება; დანაშაულის შესახებ წერილობითი ცნობის მიღების უფლება; პროცესზე დასწრების უფლების განმარტების ვალდებულება.²³

სისხლის სამართლის კოდექსში კანონპროექტში შეტანილი ყველა რეგულაცია არ ასახულა.²⁴ საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების მიუხედავად, დაზარალებულის საპროცესო მდგომარეობა კვლავ პრობლემური საკითხია, რადგან პროკურორი სარგებლობს თითქმის შეუზღუდავი დისკრეციით რაც დაზარალებულის ინტერესების გაზიარებას და დაკმაყოფილებას საფრთხეს უქმნის.²⁵

დაზარალებულზე საუბრისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს არასრულწლოვან მსხვერპლზე, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არის პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაღდა უშუალოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.²⁶ არასრულწლოვან დაზარალებულს სახელმწიფო განსხვავებულ პირობებს სთავაზობს, რაც მისი უფლებების დაცვას ემსახურება. არასრულწლოვანი დაზარალებულის შემთხვევაში, ბრალდებულის მსგავსად, მნიშვნელოვანია სპეციალიზირებული პირების არსებობა. იგი სარგებლობს მონმისათვის მინიჭებული უფლება - მოვალეობებით. ამასთან, უზრუნველოფილია დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის ან მისი მონაწილეობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების

²¹<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>

²²<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>

²³<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>

²⁴მაგალითად, კანონპროექტი ითვალისწინებდა ბრალდებულის მიერ დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრებას.

²⁵„დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი, გვ.9

²⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლის მე-13 პუნქტი.

შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა, ასევე დაზარალებულს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი. ადვოკატის მონაწილეობა დაზარალებულის უფლებების დაცვის ერთგვარ გარანტიას ქმნის, სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი დაზარალებული უზრუნველყოფილია უფასო იურიდიული დახმარებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).²⁷ არასრულწლოვანი, რომელიც ასაკის და დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის საკუთარ თავზე განცდის შემდეგ ისედაც მონყვლად მდგომარეობაში იმყოფება საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას სახელმწიფო ორგანოებისგან. არასრულწლოვანი დაზარალებულის უგუნებელყოფა მისი განმეორებითი ვიქტიმიზაციის საფრთხეს ზრდის და ფსიქოლოგიური და სოციალური კუთხით უარყოფითი ეფექტის გამომწვევია.²⁸

სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია დაზარალებულის უფლებების და ინტერესების გათვალისწინება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ერთ-ერთ გადანაცვტილებებში აღნიშნავს, რომ „სამართალწარმოების სამართლიანობის მთლიანობაში შეფასებისას, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს აგრეთვე საზოგადოების და დაზარალებულის ინტერესებსაც.“²⁹

2.2 დაზარალებულად ცნობის საპროცესო წესი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებული შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სახელმწიფო, რომელსაც მიადგა ფიზიკური, ქონებრივი ან მორალური ზიანი.³⁰ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში დაზარალებულია სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.³¹ დაზარალებულად ცნობისთვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს ზიანი, რომელიც დანაშაულის შედეგადაა მიყენებული და უნდა არსებობდეს პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით ე.ი უნდა არსებობდეს მატერიალური და ფორმალური საფუძვლები. ასეთივე შესაძლებლობებით სარგებლობენ იმ პირის ახლობლები და ნათესავები, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა სიცოცხლის ხელყოფას. ასეთ შემთხვევაში,

²⁷ იქვე, მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი.

²⁸ 22. Harvey Wallace and Cliff Robeson, *Victimology, Legal, Psychological and Social Perspectives*, Third Edition, Prentice Hall, is an imprint of „person“, 2011, pg.135

²⁹ *Horncastle and others v. the United Kingdom*, N4184/10, 16/12/2014, § 130.

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის 22-ე ნაწილი.

³¹ იქვე, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი

დაზარალებულის უფლებები და მოვალეობები გარდაცვლილის ახლო ნათესავს ეკისრება და მისი აღჭურვა ხდება დაზარალებულის უფლებამონაცვლის პროცესუალური სტატუსით. გარდა ამისა, იურიდიული პირის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დაზარალებულის ყველა უფლება და მოვალეობა ენიჭება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არის დაზარალებული, სისხლის სამართლის პროცესში მის ინტერესებს იცავს პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი.³² პირი დაზარალებული ხდება იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც ხდება დანაშაულის შედეგად ზენოლა მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი არის დაზარალებულის ცნების მატერიალურ-სამართლებრივი მხარე. დაზარალებულის ცნების პროცესუალური მხარე მოიცავს იმ პირობებს, რომელშიც დაზარალებული ხდება სისხლის სამართლის მონაწილე და იძენს პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს.³³ იმისათვის, რომ განესაზღვროთ დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი უნდა შევადაროთ „დაზარალებულის“ და „მსხვერპლის“ ცნებები: დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება ყოველთვის ვერ გახდეს დაზარალებულის სტატუსის მატარებელი სისხლის სამართლის პროცესში, მაგალითად, ადამიანები, რომლებიც არ განაცხადებენ დანაშაულის შესახებ; მსხვერპლი სტატუსს იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამოვა შესაბამისი დადგენილება/განჩინება დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შესახებ; რიგ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულს მსხვერპლის გარდაცვალება მოყვება, დაზარალებულად იცნობა მისი ახლო ნათესავი.³⁴

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული პოზიციით, პირის დაზარალებულად ცნობისათვის საჭიროა შესაბამისი ცნობები, რომლებიც „საკმაო ალბათობით“ მიუთითებს დანაშაულის შედეგად მიყენებულ ზიანზე, შესაბამისად, დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას საკმარისია ვარაუდი იმის შესახებ, რომ მას დანაშაულის შედეგად მორალური, ქონებრივი ან ფიზიკური ზიანი მიაღდა.³⁵ თუ დაზარალებულად ცნობის შესახებ ვარაუდი არ გამართლდა, პროკურორს

³² „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, გვ. 219.

³³ ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში“ „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003 წელი, გვ.509-510

³⁴ ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში“ „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003 წელი, გვ.511

³⁵ ა. მახარაძე, „ზიანის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემები“, ურნალი „მართლმსაჯულება“, №1, თბილისი, 2009, 62-63.

კანონმდებლობით აქვს შესაძლებლობა, გააუქმოს დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე.³⁶

სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.³⁷ მოცემული ნორმის მიხედვით, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა შეიძლება როგორც პროკურორის ინიციატივით, ამ პირის მიმართვის გარეშე ასევე, პირის მიმართვით, თუ ის თვლის, რომ მის წინააღმდეგ ჩადენილია დანაშაული და მიაღმა გარკვეული სახის ზიანი. პროკურორი პირის დაზარალებულად ცნობას ახორციელებს დადგენილების გამოტანით. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორმა დადგენილება თავისი ინიციატივით არ გამოიტანა პირს შეუძლია თავად მიმართოს და მოითხოვოს დაზარალებულად ცნობა. პროკურორი საკუთარი შეხედულებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებებით წყვეტს არსებობს თუ არა პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი, ანუ მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. პროკურორმა დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება მიმართვიდან 48 საათში უნდა გამოიტანოს წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ მან უარი განაცხადა პირის დაზარალებულად ცნობაზე.³⁸ სასამართლო განჩინებაში აღნიშნულია, რომ „მართალია, სახეზე არ გვაქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო დოკუმენტი, რომლის კანონიერებაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების უგულებელყოფა, მათ შორის, პროკურორის მიერ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა, სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული საჩივარი.“ რაც შეეხება

³⁶ გ. ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი, გვ.68

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლი

³⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განჩინება N3/8106

გადაწყვეტილების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების ვადას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-მუხლი, სადაც საუბარია შუამდგომლობისა და საჩივრის განხილვის ზოგად წესებზე, ადგენს პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და ამისათვის 10-დღიან ვადასაც უთითებს, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდება გადაწყვეტილების შინაარსი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა დაზარალებულის მიერ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების რაიმეს პეციალურ რეგულაციებს არ განსაზღვრავს, შესაძლებელია ზოგადი ნორმებისა და ვადების გამოყენება.³⁹

მოქმედი რეგულაციით, პირს უფლება აქვს პროკურორის უარის შემთხვევაში ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს და მოითხოვოს დაზარალებულად ცნობა დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად. ზემოდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც კანონის თანახმად სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარეა. იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს პირს უფლება აქვს პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. მოსამართლეს 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე, აღნიშნული განჩინება არ საჩივრდება.⁴⁰

სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება. დაზარალებულს უფლება აქვს, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარეა, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით დაწესებული შეზღუდვა სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით შეეხებათ ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული

³⁹ გ.ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი, გვ.67

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 და მე-5¹ ნაწილი.

თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) მძიმე დანაშაული; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე, გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.⁴¹

2014 წლის 24 ივლისს სსსკ-ში შესული ცვლილებებით 56-ე მუხლში განისაზღვრა დაზარალებულად ცნობის მატერიალური და ფორმალური საფუძვლები და ასევე დაზარალებულად ცნობის საფუძვლების არ არსებობის შემთხვევაში მისი გაუქმების პირობები. აღნიშნულ ცვლილებებამდე 56-ე მუხლში მხოლოდ მითითება იყო გაკეთებული პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის დადგენილების გამოტანასთან დაკავშირებით. უარის თქმის ან დადგენილების გაუქმების შემთხვევაში მისი გასაჩივრების შესახებ ჩანაწერი არ არსებობდა და შესაბამისად პირს არც გასაჩივრების უფლება ჰქონდა. 2014 წელს განხორციელებულმა ცვლილებამ პირს მიანიჭა პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ზემდგომ პროკურორთან, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი პირველი ინსტანციის სასამართლოშიც.

2018 წლის 21 ივლისის ცვლილებებით 56-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებში შევიდა გარკვეული ცვლილება, კერძოდ, დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის შემთხვევაში, პირს ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შემთხვევის გარდა ასევე მიენიჭა ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები მოცემულია კანონში „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“. კანონის მე-19 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-144³ მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან

⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-12 მუხლი

მასთან გათანაბრებული პირის მიერ. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.⁴²

თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული 2015-2019 წლების სტატისტიკური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე პროკურორის უარი 49 პირმა გაასაჩივრა. ოთხი წლის განმავლობაში განხილული პროცესების და აღნიშნული საჩივრების რაოდენობას თუ შევადარებთ ნათლად დავინახავთ, რომ დაზარალებულად ცნობაზე მოთხოვნა პირთა მცირე რაოდენობას აქვს შეტანილი. 2015 წელს სულ 4 ასეთი მომართვა დათქმირდა; 2016 წელს საერთოდ არ თქმირდება დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე ზემდგომი პროკურორის უარის გასაჩივრების შემთხვევა; 2017 წელს - 9 პირმა გაასაჩივრა; 2018 წელს - 11 პირმა, ხოლო 2019 წლის მონაცემებით 25-მა პირმა მიმართა.

აღნიშნული შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული, კერძოდ: სსსკ-ის 56-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე ზემდგომი პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება მხოლოდ იმ პირებს აქვთ, რომელთა წინააღმდეგაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია ჩადენილი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული თავისი ბუნებით, საზოგადოებისადმი საშიშროებით და დამდგარი შედეგით იმდენად დიდი ზიანის მომტანია, რომ მსხვერპლი და მისთვის მიყენებული ფიზიკური თუ მატერიალური დანაკარგი ცალსახაა და ნაკლებია ისეთი შემთხვევები, როდესაც არ იკვეთება პირის მიმართ დამდგარი ზიანი, ამიტომ პროკურატურა, უმეტეს შემთხვევაში, პირს თავადვე ცნობს დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ, შესაბამისად, აღარ დგება პროკურორის დადგენილების გასაჩივრების საჭიროება. პირებს ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულების შემთხვევაშიც, რომ შეეძლოთ მიმართვა სტატისტიკური მონაცემები შეცვლილი და მაჩვენებელი სავარაუდოდ გაზრდილი იქნებოდა. ასევე შესაძლოა არსებობდნენ სასამართლოს მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ გასაჩივრებას აზრი არ აქვს, რადგან სასამართლო არ გამოიტანს მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას და დადგენილების გასაჩივრებაში დროს აღარ კარგავენ.

⁴²საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“

სარჩელების უმეტესობა სასამართლოს მიერ არ არის დაკმაყოფილებული. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი ძირითად შემთხვევაში არის გამოძიების ეტაპზე შეკრებილი მტკიცებულებების არასაკმარისობა, რაც არ ქმნის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობისთვის და შესაბამისად არც პირისათვის დამდგარი ზიანის არსებობაა გამოკვეთილი. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლო აღნიშნავს : „შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიების მიერ ვერ იქნა დადგენილი არის თუ არა ვინმეს მიერ დანაშაულებრივი ქმედება და არ არის დადგენილი დანაშაულით გათვალისწინებული ზიანი, არ არსებობს დაზარალებულად ცნობის საფუძველიც.“⁴³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი: №2/12/1229, 1242, 1247, 1299) არკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სსს კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების მე-3 წინადადება: „ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება...“ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 42-ე მუხლებთან მიმართებით (ამჟამინდელი რედაქციით მე-11 და 31-ე მუხლები).

სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლთან მიმართებით შეზღუდვა დაადგინა და განმარტა, რომ სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვა, როგორც ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება პროპორციული და თანაბარზომიერი და ვერ დაადგენს სამართლიან ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის. „განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, სასამართლოს ეფექტიანი ფუნქციონირების, მისი გადატვირთვისგან დაცვის საზოგადო ინტერესი და, მეორე მხრივ, პირის ინტერესი, სასამართლოში გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმისა და დაზარალებულის სტატუსის გაუქმების შესახებ. ამ სტატუსის არქონის შემთხვევაში პირებს ერთმევათ ისეთი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, როგორცაა საქმის მასალების გაცნობისა და შესაბამისი საპროცესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, განრიდების, მედიაციის, საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში მონაწილეობის უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები. ასევე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულ არასრულწლოვანთა უფლებებიც. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი დაზარალებულები დამატებით სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით. ასევე თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიაში საქმის კოლეგიურად განხილვისას, აგრეთვე სააპელაციო

⁴³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის N138/9602-18 განჩინება.

სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას კოლეგიის/პალატის შემადგენლობაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ერთი მოსამართლე. ამასთან, განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლო ვალდებულია, არასრულწლოვან დაზარალებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობოს საქმის სასამართლოში განხილვის შედეგები და განუმარტოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. ამრიგად, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირს კანონმდებელი აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რომელთა ხელმისაწვდომობაც მხოლოდ ამ სტატუსის მოპოვებითაა შესაძლებელი.⁴⁴

სასამართლომ ასევე, შეზღუდვა დაადგინა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებითაც. სასამართლომ განმარტა, რომ დანაშაულის კატეგორიის მიხედვით გასაჩივრების უფლების მინიჭება „უკავშირდება ისეთ პირობებს, რომლის შეცვლაც დამოკიდებული არ არის პირის თავისუფალ არჩევანზე. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ურთიერთობის სხვადასხვაგვარი მოწესრიგება ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, ფაქტობრივად, იწვევს პირთა განსაზღვრული ჯგუფების მიმართ სხვადასხვაგვარ უფლებრივ რეჟიმს და დიფერენცირებას.“⁴⁵ სასამართლომ დიფერენცირების კონსტიტუციურობა მკაცრი ტესტით შეამოწმა, რადგან „დაზარალებულის სტატუსზე წვდომი სამართლებრივი საშუალების არქონა, დაზარალებულის უფლებებისა და მისი სასამართლოში გასაჩივრების გზით დაცვის მექანიზმის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მაღალი ინტენსივობით ხასიათდება.“⁴⁶ ლეგიტიმური მიზანი (სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვა) მე-14 მუხლის ფარგლებშიც აკმაყოფილებდა გამოსადეგობის და აუცილებლობის კრიტერიუმებს, მიუხედავად ამისა, ლეგიტიმური მიზანი არ იყო თანაზომიერი და პროპორციული, „ამასთან, სადავო ნორმებით გათვალისწინებული დიფერენცირება შეეხება ნებისმიერი მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულით დაზარალებული პირის უფლებებს და არ იღებს მხედველობაში დაზარალებულის მიმართ დამდგარი უფლებრივი ზიანის მოცულობას. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ინტერესი ვერც ამ შემთხვევაში გადაწონის შეზღუდულ ინტერესს და დადგენილი ბალანსი არ არის სამართლიანი.“⁴⁶

სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 და მე-6 მუხლების ჩანაწერში არსებითი ცვლილება 2019 წლის 01 ივლისს ამოქმედდება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების

⁴⁴საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N21/12/1299, 1242, 1247, 1299, გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. I - 20-22

⁴⁵იქვე, II-51

⁴⁶საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N21/12/1299, 1242, 1247, 1299, გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქეები - ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-58

მიხედვით, დაზარალებულად ცნობაზე ზემდგომი პროკურორის უარის შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის უფლება ექნება არა მარტო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს, არამედ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულში დაზარალებულ პირებსაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე არსებული საკანონმდებლო მონესრიგება ხარისხობრივად განასხვავებდა დარღვეულ უფლებებს და უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ პირის ინტერესები მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში დაუცველი დარჩენილიყო⁴⁷.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და განონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.⁴⁸ დაზარალებულს, როგორც პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მორალური, ფიზიკური, თუ ქონებრივი ზიანი მიადგა, კანონმდებელი აღჭურავს გარკვეული უფლებებით.⁴⁹ ცვლილებებამდე მოქმედი ნორმა კი უზღუდავდა პირს საკუთარი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვის შესაძლებლობას.

2.3 დაზარალებულის საპროცესო უფლებები

სახელმწიფომ დანაშაულის დასჯის მონოპოლიის განხორციელებისას პარალელურად უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის მსხვერპლის კანონიერი ინტერესები და მოთხოვნები. სამართლებრივი სახელმწიფო ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დანაშაულის მსხვერპლს და მისცეს მას კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებებისა და ინტერესების მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში რეალიზაციის შესაძლებლობა.⁵⁰

⁴⁷ იქვე, I-16

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №21/12/1299, 1242, 1247, 1299, გადაწყვეტილება, II-9

⁵⁰ გ.თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014 წელი, გვ.165

დაზარალებული არის პირი, რომელსაც უშუალოდ ადგება ზიანი დანაშაულის შედეგად. მართალია, დანაშაული ხელყოფს საჯარო ინტერესს და სახელმწიფო ზრუნავს დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესის დაცვაზე. მაგრამ, ფაქტია, რომ ვერსად გავიქცევით პირად ინტერესს, როდესაც დაზარალებული სულმოუთქმელად ელოდება სწორედ სისხლისსამართალწარმოების შედეგს, რათა ამ შედეგით მისი უფლებების კომპენსირებაც მოხდეს.⁵¹

სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზარალებულს გააჩნია მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა, მიუხედავად ამისა, მისი სამართლებრივი სტატუსი მოწმისაგან არსებითად განსხვავდება. კანონმდებელი დაზარალებულს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში და გარკვეულწილად მოახდინოს ზემოქმედება პროცესის მიმდინარეობაზე.⁵²

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული პროცესის მხარეს აღარ წარმოადგენს, ბუნებრივია, კანონმდებელი მისი ინტერესების სრულ იგნორირებას ვერ მოახდენდა. სააქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს: ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; ბ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდებისას მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა; გ) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; დ) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება; ე) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება; ვ) პროკურორს მოსთხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მას, ისე ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას; ზ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ; თ) ისარგებლოს კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. გარდა ზემო აღნიშნულისა, პროკურორმა დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო: ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მოსამართლესთან; ბ) წინასასამართლო სხდომა; გ) სასამართლოს მთავარი სხდომა; დ) სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების

⁵¹ ი. ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, მართლმსაჯულება და კანონი N2(37), გვ. 118

⁵² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ. 220

შესახებ; ე) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სდომა; ვ) პროკურორი ასევე, ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადება.⁵³

2.3.1 ინფორმაციის გაცნობის უფლება

სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობის და საქმის მასალების მიღების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება გულისხმობს, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია პროცესის მსვლელობისა და საქმის მასალების თაობაზე. პროკურორმა დაზარალებულს მოთხოვნისთანავე უნდა შეატყობინოს საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო და ადგილი. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ინფორმაციის მიღება დამოკიდებული გახდა დაზარალებულის აქტიურობაზე. ამ ცვლილებებამდე პროკურორი ვალდებული იყო, დაზარალებულის მოთხოვნის გარეშეც მიეწოდებინა ინფორმაცია სხდომების ჩატარების შესახებ.⁵⁴ აღნიშნული უფლებები მას ხელს უწყობს კანონით მინიჭებული სხვა უფლებებით ჯეროვნად სარგებლობაში და ასევე ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პროცესის მწარმოებელი პირების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და საქმის მასალების თაობაზე.⁵⁵ სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღება, ერთი მხრივ, წარმოადგენს დაზარალებულის პერსონალურ უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საგამოძიებო ორგანოების კონტროლს და მათ ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.⁵⁶ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზევე შეუძლია სრული მოცულობით გაეცნოს საქმის მასალებსა და ყველა იმ მტკიცებულებას, რასაც ბრალდების მხარე წარადგენს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად სისხლის სამართლის საქმის მასალები შეიცავს ასევე ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს ბრალდებულის მიერ ჩადენილ სხვა ისეთ დანაშაულზე, რომლებსაც კავშირი არა ექვს კონკრეტულ

⁵³ ი.ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, მართლმსაჯულება და კანონი N2(37), გვ.121

⁵⁴ გ.ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი

მდგომარეობა“ საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი, გვ.70-71

⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.221

⁵⁶ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი, გვ.25

დაზარალებულთან. საქმის მასალებში შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია სხვა მესამე პირების პირადი ცხოვრების შესახებაც, რაც არ უკავშირდება იმ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიაღდა ზიანი კონკრეტულ დაზარალებულს. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის დაზარალებულისთვის გაცნობა არ არის გამართლებული და ამას ეწინააღმდეგება ზემოხსენებულ პირთა უფლებების დაცვისა და გამოძიების ინტერესები. სწორედ ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულისთვის საქმის მასალების გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, აღნიშნული უფლება შეიძლება შეეზღუდოს დაზარალებულს და უარი ეთქვას საქმის მასალების წვდომაზე. ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულს უფლება აქვს წინა სასამართლო სხდომის გამართვამდე, არაუგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმისმასალებს.⁵⁷სსსკ-ის მიხედვით დაზარალებული უფლებამოსილია მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ. პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მას ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა უფლებას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. ამ ოქმს ხელს აწერენ დაზარალებული და ოქმის შემდგენი. დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.⁵⁸

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, დაზარალებული სახელმწიფოს მხრიდან ინფორმირებული უნდა იყოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, რომელიც საჭიროა მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.⁵⁹ დაზარალებულს უნდა ეცნობოს ინფორმაცია: ა) მის მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით; ბ) სისხლის სამართლის საქმის განხილვის მიმდინარეობის და ეტაპების შესახებ; გ) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და სასჯელის შესახებ.⁶⁰

დაზარალებულს ასევე უფლება აქვს, უფასოდ მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლები.⁶¹ ასევე, პროკურორი დაზარალებულს უგზავნის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის შესახებ დადგენილების ასლს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე

⁵⁷სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.222

⁵⁸სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე 57-ე მუხლები

⁵⁹COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation Rec (2006)8 of the Committee of ministers to member states on assistance to crime victims (Adopted by the Committee of Ministers on 14 June 2006 at the 967th meeting of the Ministers' Deputies), § 6.1.

⁶⁰იქვე, § 6.5.

⁶¹საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი

პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რის შესახებაც დგება ოქმი.⁶² აღნიშნული აძლევს დაზარალებულს შესაძლებლობას გარკვეულწილად მოახდინოს პროკურორის გადანყვეტილებაზე გავლენა, რაც თავის მხრივ პროკურორსაც დახმარებას უწევს სამართლიანი გადანყვეტილების მიღებაში. იგივე წესი მოქმედებს პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე. სსსკ-ის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს დაზარალებულს და შეადგინოს ოქმი.⁶³ იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულის განმეორებითი ვიქტიმიზაცია და ბრალდებული/მსჯავრდებულის მხრიდან საფრთხე არ შეექმნას დაზარალებულს მას უფლება აქვს მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.⁶⁴ ამდენად, კანონმდებელი აღნიშნული რეგულაციით ცდილობს, რომ გამოირიცხოს დაზარალებულისა და ბრალდებულის მოულოდნელი შეხვედრა და მათ შორის კონფრონტაცია, რამაც როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლოა მოუტანოს ზიანი. დაზარალებულს შესაძლოა უარი თქვას ამ ტიპის ინფორმაციის მიღებაზე, თუ რეპრესიის საფრთხე ექმნება არა დაზარალებულს, არამედ თავად ბრალდებულს/მსჯავრდებულს.⁶⁵ დაზარალებულის ინფორმირებულობას ემსახურება ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ნორმა, რომლის მიხედვითაც, სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ განჩინების გამოტანის მიუხედავად, მოსამართლე უფლებამოსილია ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება.⁶⁶

2012/29/EU დირექტივის მე-3 მუხლის თანახმად, ყველა სახელმწიფო ორგანო, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ურთიერთობას ამყარებს დანაშაულის მსხვერპლთან, ვალდებულია მას ინფორმაცია მიანოდოს მისთვის გასაგები თვრით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მსხვერპლის ასაკი, სქესი, შეზღუდულობა, მოწიფულობა, ენის ცოდნის დონე დაწერა-კითხვის უნარები. ამასთან, მსხვერპლს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ საკუთარი ნათქვამი თუ ქმედებები სხვებსაც გააგებინოს, მაგალითად, თუ დანაშაულის მსხვერპლი ყრუ არის, მაშინ მას უნდა მოემსახუროს თარჯიმანი, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. აქვე

⁶² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლი

⁶³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.222

⁶⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი

⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.222

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4¹

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს ინფორმაციის მიწოდება ევალებათ როგორც ზეპირი და წერილობითი ფორმით, ისე მარტივი და გასაგები ენით. მოცემულ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დირექტივის სტანდარტებს. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს უფლების – „გესმოდეს და გააგებინო“-ს შინაარსის მქონე ნორმას. თარჯიმნის მომსახურების კუთხით, აღსანიშნავია სსსკ-ის 49-ემუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით მოწმეს, რომელმაც არ იცის პროცესის ენა, შეუძლია ჩვენება მისცეს მისთვის გასაგებ ენაზე და სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თუმცა, მოცემული ნორმა პრობლემურია იმ კუთხით, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ სასამართლო საქმის განხილვის ეტაპზე და არ მოიცავს გამოძიების ეტაპს.⁶⁷

2.3.2 საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება

სსსკ-ის მიხედვით დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. დაზარალებულს 57-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით უფლება აქვს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღდა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია. სარგებლობს რა დაზარალებული ზემოხსენებული უფლებით, ამით იგი დახმარებას უწევს სასამართლოს დანაშაულით გამოწვეული ზიანის სწორად შეფასებაში, რასაც ცალკეულ დანაშაულთა სწორად კვალიფიკაციისათვის და ბრალდებულისთვის შესატყვისი სასჯელის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია.⁶⁸ ახალი კოდექსის მიხედვით დაზარალებული განიხილება, როგორც ბრალდების მოწმე და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მისი სასამართლო პროცესზე გამოძახება დამოკიდებულია პროკურორის გადანყვეტილებაზე - როდის და რომელ სხდომაზე იქნას იგი გამოძახებული, რაც გარკვეულწილად ზღუდავს დაზარალებულის საპროცესო უფლებებს.⁶⁹

⁶⁷ხ. თანდილაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით“, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი www.dgstz.de, გვ.3

⁶⁸სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.223

⁶⁹დ. კარიაული, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით“, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), გვ.139

დაზარალებული სს პროცესში მხარეს არ წარმოადგენს და შესაბამისად სარგებლოს პროცესის მონაწილის სტატუსით. დაზარალებულს უფლება აქვს საკუთარი მოსაზრება და დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაცია წარადგინოს უშუალოდ სასამართლო პროცესზე, თუმცა მისგან ინფორმაციის პირველადი მიღება ხდება გამოძიების ეტაპზე. დაზარალებულის მოწმის სტატუსიდან გამომდინარე, დიდია მისი უფლებების და ღირსების ხელყოფის ალბათობა. მოწმედ დაკითხვის დროს არის იმის შესაძლებლობა, რომ დაზარალებულს მოუხდეს თავისი ცხოვრების პირად დეტალებზე საუბარი, რაც მსხვერპლის მდგომარეობას პროცესის დროს კიდევ უფრო აუარესებს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია დაზარალებულს შეუქმნას ღირსების დაცვისათვის აუცილებელი პროცესუალური შესაძლებლობები. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ღირსების ხელშეუვალობასთან ერთად, დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური საფუძველია. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას დაზარალებულის პიროვნულობის შელახვა.⁷⁰ როდესაც ხდება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა გასათვალისწინებელია თავად კონსტიტუციით დაცული ადამიანის ინდივიდუალური ინტერესის მნიშვნელობა და ჩარევის ინტენსივობა. დაზარალებულ მოწმეს შეიძლება ფსიქიკური ტრავმა განმეორებით მიაღვეს ბრალდებულის თანდასწრებით დაკითხვისას. სასამართლო პროცესის დროს ხშირია ადვოკატის მხრიდან დაზარალებულის მიმართ დანაშაულის პროვოცირების ბრალდება.⁷¹ განსაკუთრებით თუ საქმე გვაქვს სქესობრივი ხასიათის დანაშაულთან და დაზარალებული ერთადერთი მოწმეა. ასეთ დროს დაცვის მხარე დაკითხვისას ცდილობს ეჭვქვეშ დააყენოს მოწმის სანდოობა და ყურადღებას ამახვილებს ისეთ დეტალებზე, რომელიც დაზარალებულს არასანდო და ნეგატიურ პიროვნებად წარმოაჩენს, ამგვარად ხშირად ილახება დაზარალებულის რეპუტაცია. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის ინტერესი უფლებების დაცვაზე მაღლა მდომია სახელის გამტეხ ცნობებზე დაზარალებულმა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გასცეს პასუხი თუ ეს სიმართლის დადგენისათვის აუცილებელია. სხვა შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება ასეთი დაკითხვის მიზანშეწონილობის საკითხი.⁷²

დაზარალებულის დაკითხვის წარმოება დღემდე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. დაზარალებული პროცესის მონაწილეებს შორის არის ის ცენტრალური ფიგურა, რომელმაც უშუალოდ განიცადა დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანი და შესაბამისად მისი როლის არასათანადო შეფასებამ შესაძლოა, უარყოფითი როლი ითამაშოს გამოძიების ეფექტურობასა და სასამართლო გადაწყვეტილების სისწორეზე.

⁷⁰ გ. თუმანიშვილი, „დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში“, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი 2009 წელი, გვ.66-67

⁷¹ მ. შალიკაშვილი, „ვიქტომოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი, გვ.33

⁷² იქვე, 68

დაზარალებულის დაკითხვის დროს არის მისი მეორეული ვიქტიმირების შესაძლებლობაც, კერძოდ, დანაშაულის მსხვერპლი შესაძლოა განიცდიდეს ვიქტიმირების განმეორებით პროცესებს, კერძოდ, ცნობილია პიროვნების პირველადი, მეორეული და მესამეული ვიქტიმირება. პირველადი ვიქტიმირება უშუალოდ დანაშაულის შედეგად ხდება; მეორეული ვიქტიმირება ძირითადად დაკავშირებულია მსხვერპლთან ურთიერთობაში მყოფ პიროვნებებთან და მათ მიერ გაკეთებულ განცხადებებთან; პიროვნების მესამეულ ვიქტიმირებას ადგილი აქვს, როდესაც მსხვერპლს პირველადი და მეორეული ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა დანაშაულისაგან საკუთარი თავის დაცულობის.⁷³ შესაბამისად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დაზარალებულის დაკითხვა ჩვეულებრივი მონმის დაკითხვისგან განსხვავებულად უნდა წარიმართოს. დაზარალებულმა, გადატანილი სტრესისა და განცდების შედეგად, შესაძლოა ზუსტად ვერ შეძლოს მომხდარის აღდგენა და გარკვეული ცდომილობები იყოს მის ჩვენებებში თუმცა ეს არ უნდა გახდეს მისი ჩვენების სანდოობის ეჭვებში დაყენების საფუძველი. დაზარალებული შეიძლება ცდილობდეს დაფაროს და სრულად არ გაამჟღავნოს მომხდარი, რაც სხვადსხვა ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული, მაგალითად, დამნაშავისადმი შიშის გრძნობა, სირცხვილის და შეურაცხყოფის განცდა და ა.შ. თუმცა გამოძიების და შემდგომ სასამართლო ეტაპზეც უნდა მოხდეს დაზარალებული მონმის შეფასება, მისი სოციალური მდგომარეობის, განათლების დონის, ჯანმრთელობის, საზოგადოებაში ქცევის მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებულს განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა შორის. იგი წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლს და დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია მისი კანონიერი უფლებების საწინააღმდეგოდ. დაზარალებული, უმრავლეს შემთხვევაში, დანაშაულის თვითმხილველია, ამიტომ ის ხშირ შემთხვევაში, ყველაზე უკეთ ფლობს საჭირო ინფორმაციას და შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულებები დანაშაულებრივი ქმედების ყველა გარემოების შესახებ. მას ასევე, ხელი მიუწვდება საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე, რომელიც გამოძიებისა და დამნაშავის მხილებისათვის მეტად მნიშვნელოვანა.⁷⁴ თუმცა, დაზარალებულის მიერ მონოდებული ინფორმაცია ისევე კრიტიკულად უნდა შეფასდეს, როგორც მონმედ დაკითხული ნებისმიერი პირის, ამ მხრივ მის ჩვენებას უპირატესი ძალა არ აქვს და საფუძვლიანი გამოკვლევის გარეშე რელევანტურ მტკიცებულებად არ მიიჩნევა.

2.3.3 გამოძიების მიმდინარეობის და საქმის მასალების გაცნობის უფლება

⁷³მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია(სახელმძღვანელო), მესამე შეესებული და გამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2017 წელი, გვ. 193

⁷⁴დ.კირიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), გვ.140

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. იმ შემთხვევაში თუ, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება ინფორმაციის და საქმის მასალების გაცემაზე უარის თქმის შესახებ. დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. იმ შემთხვევაში თუ, აღმოიფხვრება უარის თქმის საფუძველი პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიანოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.⁷⁵ ამდენად, ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულის ხელმეორედ მიმართვა საჭირო აღარ არის და თავად პროკურორმა ან გამომძიებელმა უნდა იზრუნოს დაზარალებულის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.⁷⁶ ინფორმაციის მიღების და საქმის მასალების გაცნობის უფლების შეზღუდვის გამართლება უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ და ობიექტურ გარემოებებს, ის თუ რა შეუქმის საფრთხეს გამოძიების ინტერესებს უნდა იყოს განჭვრეტადი და დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს იმის შესაძლებლობა, რომ პროკურორმა დაუსაბუთებლად შეზღუდოს დაზარალებულის უფლებები. მოქმედი კანონმდებლობით, დაზარალებულს აქვს მხოლოდ მასალების გაცნობის უფლება. მას უფლება არ აქვს გადაიღოს აღნიშნული მასალების ასლები, ეს ერთი მხრივ შესაძლოა განპირობებული გამოძიების ეფექტური განხორციელების, მისთვის ხელის შეშლის მინიმუმადე დაყვანის, მესამე პირების პირადი ცხოვრებისა თუ პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, რაც თავისთავად წარმოადგენს დაცვის ღირს ინტერესს, მეორე მხრივ კი, გაუგებარია, თუ მასალების ასლის გადაცემა წინააღმდეგობაში არ მოვა გამოძიებასთან და არ შეუქმნის მის მიმდინარეობას საფრთხეს, რატომ უნდა აეკრძალოს დაზარალებულს იმ საქმის მასალების ასლის გადაღება რისი გაცნობის უფლებაც ისედაც აქვს. თუმცა, იმავდროულად, პროკურატურას უნდა ჰქონდეს ბერკეტი, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დასაბუთებული უარი უთხრას ასლების გადაცემაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.⁷⁷

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი; 57-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი.

⁷⁶ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი, გვ.16

⁷⁷ იქვე გვ.16

2.3.4 დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართვის უფლება და შესაძლებლობა

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების წესი სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური თავით რეგულირდება. სსს კოდექსის 67-ე მუხლის მიხედვით, პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ: განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას; პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ გამოიყენონ, ეს იქნება მონაწილე, დაზარალებული, გამომძიებელი, თარჯიმანი თუ სხვა. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე პროცესის ნებისმიერი მონაწილის ახლო ნათესავის (მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული) სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის მიზნით. პროცესის მონაწილის ახლო ნათესავის პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იძლევა.⁷⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი დაზარალებულს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართვა თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას. დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებულ იქნას პროკურორის ან იმ პირის ინიციატივით ვის მიმართაც არსებობს საფრთხე. თუ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ინიციატორია პროკურორი, იგი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს იმ პირთან, ვის მიმართაც იგი საჭიროდ თვლის ამ ღონისძიების გამოყენებას, რადგან ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია. თუ პროკურორს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართავს პროცესის მონაწილე, მისი ახლო ნათესავი ან/და მასთან დაკავშირებული პირი, იგი არ არის ვალდებული ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა. აღნიშნული ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორმა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე უნდა შეაფასოს საფრთხის რეალობა.⁷⁹

⁷⁸სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.240

⁷⁹იქვე, გვ.242

ამ შემთხვევაში, პროკურორი საკუთარი შეხედულებით აფასებს მტკიცებულებებს და საფრთხის რეალურობას, რაც გარკვეულწილად შეიძლება ქმნიდეს იმის რისკს, რომ პროკურორმა საფუძვლიანად ვერ შეაფასოს საფრთხის არსებობა და მოთხოვნის შემთხვევაში დაცვის სპეციალური ღონისძიება არ გამოიყენოს, რაც შემდეგ გახდეს საფრთხის რეალობად ქცევის მიზეზი და დაზიანდეს კონკრეტული პირის ჯანმრთელობა ან ქონება. საფრთხე შეიძლება დაემუქროს პროცესის მონაწილე ნებისმიერ პირს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს დაზარალებული, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არის დანაშაულის ერთადერთი თვითმხილველი და გამოძიების მიმდინარეობასა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე მისმა ჩვენებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს. შესაბამისად, დაზარალებულზე განმეორებითი თავდასხმის საფრთხე მომეტებულად შეიძლება არსებობდეს. პროკურორმა ამ კუთხით განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და მოთხოვნის შემთხვევაში დააკმაყოფილოს დაზარალებულის დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართვის მომართვა. ეს ერთი მხრივ გაანეიტრალებს და მოახდენს მოსალოდნელი რისკების პრევენციას, მეორე მხრივ კი ხელს შეუწყობს დაზარალებულის განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან დაცვას. ევროპის კავშირის 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო კონვენცია „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების შესახებ“ აღიარებს დაზარალებულის დაცვის უფლებას. კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ დაზარალებული პირის და თუ საჭიროება მოითხოვს მისი ოჯახის წევრების დაცვა.⁸⁰ დაცვის სპეციალურ ღონისძიებების გამოყენების წესები და პირობები განისაზღვრება სსს კოდექსით, რომლის მიხედვითაც, პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებების ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.⁸¹ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან მატერიალურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვს, შესაბამისად, შესაძლოა სახელმწიფომ კონკრეტული პირის, მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის, მიმართვის საფუძველზე უარი თქვას დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაზე რესურსის დაზოგვის მიზნით, რაც შემდეგ გახდეს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის ან ქონებრივი ზიანის წინაპირობა. უმჯობესი იქნება, სახელმწიფოს ყველა შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დაზარალებული ფლობს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას და შეიძლება იყოს ძირითადი მოწმე, დაევალოს სავალდებულოდ განახორციელოს დაზარალებულის დაცვის ღონისძიებები. დაცვის სპეციალური ღონისძიებების გატარება ამ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დაზარალებულის თანხმობით, მაგრამ პროკურატურა ყველა შემთხვევაში უნდა სთავაზობდეს დაზარალებულ ან მასთან დაკავშირებულ პირს, რომელსაც ასევე ემუქრება საფრთხე, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნას დაცვის სპეციალური ერთი ან რამდენიმე ღონისძიება.

⁸⁰ COUNCIL FRAMEWORK DECISION of 15 March 2001 on the standing of victims in criminal proceedings (2001/220/JHA), Article 8 Right to protection

⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლი.

შესაძლებელია, დაზარალებულმა სასამართლოში მონმედ გამოსვლით საფრთხე შეუქმნას თავისი ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს და ჯანმრთეობას. ამ შემთხვევაში, დაზარალებული დგება დილემის წინაშე სიმართლის თქმასა და ჯანმრთელობის დაცვას შორის. იმ დროს, როდესაც დაზარალებულის წინააღმდეგ რეალურად არ ხორციელდება რეპრესიები, დაზარალებულს ბრალდებულისგან ან მისი გარემოცვისგან მომდინარე მუქართ მანც უჩნდება შიმის შეგრძნება, რაც მისი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. აღნიშნული უფლებების ხელყოფა კიდევ უფრო ხელშესახები გახდება თუ დაზარალებული და მისი ოჯახის წევრები რეალურად განიცდიან სიცოცხლის ხელყოფის ობიექტურ საფრთხეს ჩვენების მიცემის შემთხვევაში. ბრალდებულთან დაპირისპირების შემთხვევაში განსაკუთრებული ზიანი არასრულწლოვან მოწმე-აზარალებულებს ადგებათ. აქედან გამომდინარე, ბრალდებულის პროცესში შეუზღუდავად მონაილეობის უფლება და დაზარალებულის პიროვნული უფლებები შესაძლოა ერთმანეთთან კოლიზიაში მოდიოდეს. იმ დროს როდესაც დაცვის სპეციალური ღონისძიებების გატარება არაეფექტურია დაზარალებული უნდა გათავისუფლდეს ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან.⁸²

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა დაიცვას პროცესისი თითოეული მონაწილე და ამისათვის გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანის უფლებების დარღვევა და მართლმსაჯულებისათვის უკანონი ხელშეშლა.

2.3.5 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველია დანაშაულის, ანუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად დამდგარი ზიანი. ზიანი შეიძლება იყოს ფიზიკური, მორალური და მატერიალური. დანაშაულის ობიექტი არის სამართლებრივი სიკვთე ან პირის ინტერესები, რომლითაც იგი მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში. დანაშაულის ობიექტი დანაშაულის ხასიათის და კატეგორიის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად, მკვლელობის დროს ეს იქნება ადამიანის სიცოცხლე, ქურდობის დროს მატერიალური ქონებრივი სიკვთე და ა.შ.⁸³ დანაშაულის შედეგად ხელყოფის ობიექტს წარმოადგენს ადამიანი და არა მთელი საზოგადოება.⁸⁴ დაზარალებულია პირი, რომელსაც მიადგა ან შეიძლება

⁸² გ. თუმანიშვილი, „დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში“, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, გვ.69

⁸³ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2007 წელი, გვ.110

⁸⁴ ა. მახარაძე, „ზიანის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემები“, მართლმსაჯულება N1, სამეცნიერო - პრაქტიკულ რეცენზირებული ჟურნალი, 2009 წელი, გვ.54

მისდგომოდა (დანაშაულის მცდელობის ან მომზადების სტადიაზე) ზიანი. დაზარალებულს სსს კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უფლება აქვს განაცხადოს იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღდა. ზიანის ცნება მოიცავს როგორც ქონებრივ ზიანს ასევე, არამატერიალურ სიკეთეთა დაზიანებაშიც გამოიხატება. მოთხოვნა, განხორციელდეს თუ არა სხვა პირის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ საფუძველს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან. კონსტიტუციის ნორმის რეალიზებას ემსახურება სზაკის XIV თავი, რომელიც აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხს. სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირთან წარმოშობილი ზიანის კონმენსაციას სხვა პირის მიერ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებით ან მოწესრიგდეს სამართალურთიერთობის ფარგლებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს დელიქტური ვალდებულებებისგან წარმოშობილი ზიანის ცნებას, სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაცენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმისათვის რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახეზე უნდა იყოს რამდენიმე კუმულაციური პირობა, კერძოდ, ზიანი გამოწვეული უნდა იყოს პირის ქმედების შედეგად, ურომლისოდაც ეს შედეგი არ დადგებოდა ანუ უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.⁸⁵ სსს კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით, რომელიც სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტს ითვალისწინებდა, ეს ნორმა შესაძლებლობას აძლევს დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს, მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁸⁶ ზიანის ანაზღაურების საკითხს ეხება ევროპული კონვენციის დათქმა, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაარღვიონ და შექმნან პოზიტიური გარემო მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის.⁸⁷ გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის მე-4 მუხლის მიხედვით საჭიროა შეიქმნას და განმტკიცდეს სასამართლო და ადმინისტრაციული მექანიზმები იმისთვის, რომ მსხვერპლმა მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია ოპერატიულად, ზედმეტი ოფიციალური და ძვირადღირებული პროცედურების გარეშე. ამავე კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, მსხვერპლს, რომელსაც ზიანი მიაღდა სახელმწიფო თანამდებობის პირისგან ან სხვა წარმომადგენლისგან

⁸⁵ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2014 წელი, გვ. 204-205

⁸⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ. 319

⁸⁷ უ.ტრევესელი, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2010 წელი, გვ. 59

ჩადენილი ქმედების შედეგად, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან, ხოლო თანმადებობის პირებმა, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს პასუხი უნდა აგონ მიყენებული ზიანისთვის. აღნიშნული ნორმები განამტკიცებს ერთი მხრივ კომპენსაციის მიღების საკითხს და ადგენს, რომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაა შექმნას ამისათვის გამარტივებული მექანიზმები, ნაკლები ბიუროკრატიული პროცედურით, რაც მსხვერპლს დაეხმარება დროსა და რესურსის დაზოგვაში. ამასთან, ადგენს, რომ დაუსჯელი არ უნდა დარჩეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული, რაზეც პასუხისმგებლობა თავად ხელისუფლებას ეკისრება, შესაბამისად, მასვე ევალება ზიანის ანაზღაურება.⁸⁸ ზიანი წარმოადგებს პირის დაზარალებულად ცნობის აუცილებელ და ერთადერთ კრიტერიუმს, სწორედ ზიანის ფაქტი წარმოშობს პირისათვის სამართლებრივი და პროცესუალური სტატუსის მინიჭების საფუძველს. „იქ სადაც არ არსებობს ზიანი არ შეიძლება იყოს დაზარალებული.“ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ზიანის ცნება განმარტებული არ არის. კოდექსი არ განმარტავს ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანის ცნებებს. ზიანის მნიშვნელობა ასევე, განმარტებული არ არის მატერიალური კანონმდებლობითაც, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვხვდებით ისეთ ცნებებს როგორცაა „მნიშვნელოვანი ზიანი“, „არსებითი ზიანი“.⁸⁹ საკასაციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს მორალური ზიანის ცნებას, გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „კანონი პირდაპირ განსაზღვრავს თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვის.“ სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანს შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ჯანმრთელობის დაზიანებისა და სხეულის დასახრებისთვის. სხვეულის დაზიანებას ასევე მოყვება სულიერი ტანჯვა და ფსიქიკური სტრესი.“⁹⁰

საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგებოდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება ჰქონდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი. იურიდიულ პირს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლება ჰქონდა მოეთხოვა ქონებრივი და მორალური ზიანის ანაზღაურება. დღეს მოქმედ კოდექსში მსგავსი ჩანაწერი არ გვაქვს, რადგან 2010 წლის ცვლილებებით აღარ არსებობს სამოქალაქო მოსარჩელის ინსტიტუტი და სისხლის სამართლის საქმესთან ერთად აღარ ხდება სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და განხილვა.

⁸⁸ გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია „დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“.

⁸⁹ ა. მახარაძე, „ზიანის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემები“, მართლმსაჯულება N1, სამეცნიერო - პრაქტიკულ რეცენზირებული ჟურნალი, 2009 წელი, გვ.55

⁹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის N ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

ბრალეულობის საკითხის გარკვევა და დაზარალებულის ზიანის ანაზღაურება ორ დამოუკიდებელ სასამართლო განხილვას საჭიროებს და დაზარალებულ პირს ცალკე სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღარ განმარტა რა შემთხვევაში და როგორ მოხდებოდა ზიანის ანაზღაურება.

1998 წლის სსს კოდექსის მიხედვით დაზარალებულს სამოქალაქო სარჩელი უნდა წარედგინა იმ გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე, ხოლო საკითხს ის მოსამართლე იხილავდა, რომლის განსჯადიც იყო სისხლის სამართლის საქმე. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმესთან ერთად მოსამართლე სამოქალაქო სარჩელსაც განიხილავდა, აღნიშნული ზრდიდა მის უფლებამოსილებას, რადგან სისხლის სამართლის კატეგორიაში მყოფი მოსამართლე ითავსებდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის უფლებამოსილებას. სარჩელის წარმოებაში მიღება, მისი განხილვა და დაკმაყოფილება შესაბამის კომპეტენციას საჭიროებს რაც სისხლის სამართლის საქმის განხილვის მოსამართლეს არ მოეთხოვება, აქედან გამომდინარე, იყო იმის რისკი, რომ სასამართლოს შეიძლება არაკვალიფიციური გადაწყვეტილება მიეღო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ კერძო ბრალდების საქმეებზე დასაშვებია იყო შეგებებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენა. მოცემულ სიტუაციაში სისხლის სამართლის საქმის მოსამართლე ორ საქმეს იხილავდა და წყვეტდა, რაც ზრდიდა პროცესის გაჭიანურების რისკს. სისხლის სამართლის საქმესთან ერთად სამოქალაქო სარჩელის განხილვას დადებითი ფაქტორებიც ახლდა, რადგან ამ დროს დაზარალებულს აღარ უწევდა სისხლის სამართლის საქმის დასრულების ლოდინი და შემდგომ სარჩელის შეტანა, რითაც დაზარალებული ზოგავდა დროს და რესურსს.

დღეს მოქმედი კოდექსის მიხედვით, სამოქალაქო სარჩელის წარდგენა პირს სისხლის სამართლის საქმისგან დამოუკიდებლად შეუძლია. დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შეაქვს სამოქალაქო სარჩელი, რაც სამოქალაქო სამართალწარმოები წესით განიხილება. გამამტყუნებელი განაჩენი ერთვება სამოქალაქო სარჩელს, როგორც ზიანის არსებობის ერთ-ერთი მტკიცებულება და სასამართლო მას მხედველობაში იღებს განხილვის დროს. მსჯავრდებული პირი კი პროცესში ერთვება სამოქალაქო მხარედ, რომელიც სარგებლობს მოპასუხის უფლებებით. დღეს მოქმედი წესი დაზარალებულის მხრიდან მეტ დროს და მატერიალურ დანახარჯს მოითხოვს, რადგან მას უხდება ადვოკატის დაქირავება, სარჩელის შედგენა, შემდომ მისი განხილვის და გადაწყვეტილები მიღების ლოდინი, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სარჩელის სისხლის სამართლის საქმისგან დამოუკიდებლად განხილვა უფრო სამართლიანი და კანონთან შესაბამისია, რადგან ამ დროს სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეს არ უხდება

სამოქალაქო წესით სარჩელის განხილვა და შესაბამისად, სამოქალაქო სპეციალიზაციის მოსამართლის როლის მორგება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებულისთვის მინიჭებულ უფლებას, მიყენებულ ზიანის სასამართლოსთვის გაცხადებასთან დაკავშირებით, ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან არ შეუძლია დაზარალებულს გარკვეული შედეგი მოუტანოს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. აღნიშნული სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სასჯელის შეფარდების ნაწილში.

2.3.6 დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას

ქართული კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცესის პარალელურად, პრაქტიკაში De lega ferenda ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის პროცესის ახალი ფორმა - საპროცესო შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ჯერ კიდევ გამოძიების პროცესში შესაძლებელი გახდა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა, თუ ბრალდებული დათანხმდებოდა პროკურორის მიერ წარდგენილ მოთხოვნებს.⁹¹ საპროცესო შეთანხმება პროცესის დაჩქარებას და საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებას უწყობს ხელს. დაჩქარებული პროცესის იდეა თავდაპირველად საერთო სამართლის ქვეყნებში არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება ხელს უწყობს საქმეთა სწრაფ განხილვას ამ ინსტიტუტს ბევრი მონინაალმდევე ყავს, რადგან აღნიშნული, შეთანხმება ხშირ შემთხვევაში, მხარეთა შორის ვაჭრობას ემსგავსება საპროცესო შეთანხმების დროს სასამართლოს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის გრეშე გამოაქვს, რა დროსაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. ბრალდებული შესაძლოა, დამატებით, შეუთანხმდეს პროკურორს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე.⁹² სასამართლოს არსებითი განხილვის გარეშე განაჩენი გამოაქვს პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც ერთვის განცხადებ ასაპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ, საპროცესო შეთანხმების ოქმი და სისხლის სამართლის საქმის გარშემო შეკრებილი ინფორმაცია, რომლებიც პირის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის

⁹¹ თ. ლალიაშვილი, „საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები“, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ. 275

⁹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლი

ჩადენას ადასტურებენ.⁹³ იმისათვის, რომ მოხდეს საპროცესო შეთანხმების დამტკიცება საჭიროა არსებობდეს ამისათვის საკმარისი მტკიცებულებები, კერძოდ, მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე.⁹⁴

მნიშვნელოვანია განისაზღვროს დაზარალებულის როლი საპროცესო შეთანხმების დადებისას. მოქმედი კოდექსის მიხედვით დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს პროცესში და შესაბამისად, მისი უფლებები ძალიან მწირია. მიუხედავად ამისა, ცალკეული საპროცესო გადაწყვეტილებების მიღებისას პროცესის მწარმოებელ პირებს აქვთ დაზარალებულის ინფორმირების ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულება შეიძლება მიზნად ისახავდეს დაზარალებულის თანხმობის მოპოვებას, რომლის გარეშეც გარკვეული მოქმედებები ვერ ჩატარდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი მხოლოდ მიმდინარე გამოძიების შესახებ დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდებას.⁹⁵ ეს იკვეთება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისასაც. სსსკ-ის 217-ე მუხლის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დადებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს. საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის თანხმობას მნიშვნელობა არ ენიჭება, პროკურორი მასთან მხოლოდ კონსულტაციას გადის და ატყობინებს, რომ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ფორმდება შეთანხმება. დაზარალებულთან კონსულტაციის შესახებ პროკურორი ადგენს ოქმს. ოქმში უნდა აისახოს დაზარალებულის დამოკიდებულება საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. საპროცესო შეთანხმების დადებისას პროკურორი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით. პროკურორმა გარდა საჯარო ინტერესისა, უნდა იხელმძღვანელოს დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარეც, განსაკუთრებით ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, სადაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაღდა ან მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრა. სსს კოდექსში 2014 წელს შესული ცვლილებებით დაზარალებულს უფლება აქვს სასამართლოს მიანდოს ინფორმაცია დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის შესახებ, აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინება სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს საპროცესო შეთანხმების დადებისას. დღეს მოქმედი პრაქტიკით დაზარალებულის დამოკიდებულება, ის რომ პრეტენზიას არ აცხადებს სამართალდამრღვევთა მიმართ,

⁹³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.643

⁹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 11¹ პუნქტი.

⁹⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამომცემლობა „მერდიანი“, თბილისი, 2015 წელი, გვ.648

შესაძლებელს ხდის დაუბრკოლებლად გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება. მოცემულ შემთხვევაში არ ხდება დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება, მისი როგორც მსხვერპლის უფლებების დაცვა. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ მასსა და დაცვის მხარეს შორის მოლაპარაკების პროცესი და მსხვერპლი, როგორც დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის სუბიექტად აღქმა არ ხდება. დაზარალებულს არ აქვს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება, მოცემული ნორმა შეტიბრებითი პროცესის პრინციპიდან გამომდინარეობს, რადგან დაზარალებული დღეს მოქმედი კოდექსით აღარ წარმოადგენს პროცესის მხარეს. იმისათვის, რომ მოხდეს დაზარალებულის უფლებების და ინტერესების დაცვა და მსხვერპლმა იგრძნოს, რომ სახელმწიფო მისი ბედით დაინტერესებულია მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხს და საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გაითვალისწინოს ეს გარემოება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ დღეს მოქმედი რეგულაციით საპროცესო შეთანხმების გაფორმება ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი. დაზარალებულს სათანადო ყურადღება, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, არც ადრე მოქმედი კოდექსით ექცეოდა. საქართველოს 1998 წლის სსს კოდექსის 679⁸-ე მუხლის მიხედვით, პროკურორი ვალდებული იყო დაზარალებულისთვის შეეტყობინებინა საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, თუმცა დაზარალებულს მისი გასაჩივრების უფლება არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის სსს კოდექსით დაზარალებული ბრალდების მხარეს წარმოადგენდა.⁹⁶ ამავე კოდექსის 447-ე მუხლით დარეგულირებული იყო დაზარალებულის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მისი გამოუცხადებლობის შედეგები. სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება დაზარალებულს ერთმეოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას.⁹⁷ აღნიშნული არღვევდა დაზარალებულის უფლებას სრული მოცულობით ესარგებლა ბრალდების მხარისათვის მინიჭებული უფლებებით და დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი საპროცესო შეთანხმებასთან და მის პირობებთან დაკავშირებით. სასამართლო, ხშირ შემთხვევაში, არ ითვალისწინებს დაზარალებულის აზრს და ინტერესებს. ამ მხრივ, საყურადღებოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, 27 არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენიდან მხოლოდ 6 საქმეში მიუთითა მოსამართლემ პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისა და შესაბამისი ოქმის შედგენს შესახებ, დანარჩენ 21 საქმეში მოსამართლემ ყურადღება არ გაამახვილა

⁹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის რედაქცია, 44-ე მუხლის მე-19 ნაწილი.

⁹⁷ ნ. გვენეტაძე, მ. ტურავა, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბილისი, 2005 წელი, გვ.165

დაზარალებულის ინტერესებზე.⁹⁸ პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საპროცესო შეთანხმების დადებისას არ ხდება დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება. დაზარალებულის უფლება, მიაწოდოს სასამართლოს ინფორმაცია დამდგარი ზიანის შესახებ, ატარებს ფორმალურ ხასიათს და რეალურად შეთანხმების გაფორმებისას მისი, როგორც პირის, რომელმაც უშუალოდ განიცადა ზიანი დანაშაულის შედეგად, ინტერესების გათვალისწინება არ ხდება.

2.3.7 დაზარალებულის უფლება ისარგებლოს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორით

მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი 2011 წლიდან ამოქმედდა საქართველოს პროკურატურის სისტემაში. მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ძირითადი ფუნქციაა გაამარტივოს და ხელი შეუწყოს მოქალაქესა და პროკურატურას(სასამართლოს) შორის კომუნიკაციას საქმის მსვლელობისას, ასევე მიაწოდოს მას საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოქალაქეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეხვდნენ და გაესაუბრონ მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს და მიიღონ მათგან დახმარება.⁹⁹ სსს კოდექსის მიხედვით, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორი არის პირი, რომელიც უზრუნველყოფს მონმისა/დაზარალებულის მხარდაჭერას სამართალწარმოების პროცესში.¹⁰⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი 2018 წლის 4 მაისის კანონით ჩაინერა და ცალკე თავი დაეთმო სადაც, განსაზღვრულია მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის წინაპირობები და მისი უფლება-მოვალეობები. კოდექსის მიხედვით, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორი საქმეში პროკურორის გადანწყვეტილებით ერთვება. მისი მიზანი დაზარალებულის და მონმის დახმარება, დაზარალებულის მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვა და მათი ინფორმირების უზრუნველყოფაა. მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ძირითადი ფუნქცია მოქალაქეთა ემოციურ მხარდაჭერაში ვლინდება. კოორდინატორს უფლება არ აქვს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მიმდინარეობისას მონმეს ან დაზარალებულს დაუსვას კითხვები ან სხვაგვარად ჩაერთოს მტკიცებულებათა მოპოვებაში.¹⁰¹ მოქმედი კოდექსით დაზარალებული არ არის მხარე და ისარგებლობს

⁹⁸ „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი, გვ.19

⁹⁹ www.pog.gov.ge

¹⁰⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლი 221-ე ნაწილი.

¹⁰¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 581-582 მუხლები.

შეზღუდული უფლებებით, მისთვის მინიჭებული ზოგიერ უფლება მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და ხელშესახები შედეგის მოტანა არ შეუძლია. ამ ფონზე დაზარალებულს სჭირდება დაცვა და იმის გააზრება, რომ სახელმწიფო გარკვეულწილად მაინც ზრუნავს მისი უფლებების დაცვაზე.

2012/29/EU დირექტივა ერთმნიშვნელოვნად მოუწოდებს წევრს სახელმწიფოებს შექმნან მონმისა და დაზარალებულის მხარდასაჭერი მექანიზმები, რომლებიც მიმართული იქნება მათი ინფორმირებისკენ. აღსანიშნავია, რომ ქართულ კანონმდებლობაში მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი დირექტივის მიღებამდე ერთი წლით ადრე ამოქმედდა. საკანონმდებლო დონეზე კოორდინატორის ინსტიტუტი 2018 წლის 4 მაისს შეტანილი ცვლილებებით მოწესრიგდა, რაც მისასაღებელია, რადგან კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი ქმნის მეტ სანდოობას და ეფექტურობას.

თავი III. დაზარალებულის უფლებები აღდგენითი (რესტიტუციული) მართლმსაჯულების პროცესში

3.1 აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობა

სისხლის სამართლის პროცესი კონცენტრირებულია ბრალდებულზე, მის მიმართ ჩასატარებელ ღონისძიებებზე და უფლებების დაცვაზე. შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლს, მის უფლებებს და ინტერესებს ნაკლები ადგილი და დრო ეთმობა. დანაშაულის მსხვერპლის პროცესუალური მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის, ის თანაბრად უნდა ზრუნავდეს პროცესის ნებისმიერი მონაწილის უფლებების დაცვასა და მათ რეალიზებაზე. ერთი მხრივ სამართალდამრღვევსა და მეორე მხრივ დაზარალებულზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა რთულ და დიდ ძალისხმევას საჭიროებს, ამ კუთხით ყველაზე მისაღები მართლმსაჯულების ალტერნატიული ფორმის განვითარებაა, რომელიც აღდგენითი (რესტიტუციული) მართლმსაჯულების ფორმით ხორციელდება.

აღდგენითი მართლმსაჯულების იდეა რესტიტუციაში მდგომარეობს, რომელსაც რეპრესიის საპირისპირო გაგება აქვს.¹⁰² აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში დანაშაულებრივი ქმედება გაგებულია არა როგორც კანონის ნორმის დარღვევა

¹⁰² გ. თუმანიშვილი, „აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში“, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ.253

არამედ როგორც ინდივიდებს შორის არსებული კონფლიქტი, რომელიც ზიანს აყენებს დანაშაულის მსხვერპლს, საზოგადოებას და თავად სამართალდამრღვევს. შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულება უარყოფს კონფლიქტის გადაწყვეტაში სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას და პროცესის მშვიდობიანი გზით წარმართვის შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულს, სამართალდამრღვევს და საზოგადოებას. აღდგენითი მართლმსაჯულების მიხედვით სახელმწიფო უნდა ამკვიდრებდეს სამართლებრივ წესრიგს, ხოლო საზოგადოება -საზოგადოების წევრებს შორის სტაბილურ და მშვიდობიან ურთიერთობას.¹⁰³

აღდგენითი მართლმსაჯულება ევროპაში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. ევროპის საბჭოს 1999 წელს №R(99)19 რეკომენდაციის მიხედვით, ევროსაბჭო წევრს სახელმწიფოებს მოუწოდებს დანერგონ მედიაცია, როგორც „სერვისი სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე“. რეკომენდაციის მე-10 მუხლის მიხედვით: 1)წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მედიაციის გამოყენებას იმ საქმეებზე, რომლებზეც ამ ღონისძიების გამოყენება მიზანშეწონილია; 2)მედიაციის ფარგლებში სამართალდამრღვევს და დაზარალებულს შორის მიღწეული შეთანხმება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის პროცესში. თუ ტრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები დასჯის იდეაზე დაფუძნებული, აღდგენითი მართლმსაჯულება აქცენტს აკეთებს დანაშაულის ჩადენით გამოწვეულ სიტუაციაში ბალანსის აღდგენის მნიშვნელობაზე, აგრეთვე კონკრეტულ პირთა მიმართ მიყენებული ზიანის გამოსწორებაზე.

აღდგენით მართლმსაჯულებას აქვს ოთხი ძირითადი პრინციპი: 1)მიყენებული ზიანის გამოსწორება; 2)დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება; 3)სამართალდამრღვევი უნდა აცნობიერებდეს ჩადენილ ქმედებას და იღებდეს პასუხისმგებლობას; 4)სამართალდამრღვევი პირი უნდა ცვლიდეს ქცევას და მისი ქმედებები გამოსწორებისაკენ უნდა იყოს მიმართული.¹⁰⁴აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანია დამნაშავე არასრულწლოვანმა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებაზე, რათა ჩადენილი დანაშაულის გააზრების და გამოსწორების შედეგად მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია.¹⁰⁵ აღდგენითი მართლმსაჯულების დროს დანაშაული არის ერთი პირის მიერ მეორის უფლებების დარღვევა. აქცენტი კეთდება დამნაშავე პირის მიერ პასუხისმგებლობის აღებასა და გამოსწორების გზებზე. მთავარი მიზანი არის შერიგება და სამართალდამრღვევსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობის აღდგენა, რაც მიიღწევა ზიანის ანაზღაურებით, დიალოგისა და მოლაპარაკების გზით დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით. აღდგენითი მართლმსაჯულება ორიენტირებულია არა მხოლოდ

¹⁰³ იქვე, გვ.255

¹⁰⁴ „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისკენ, ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI), თბილისი, 2011 წელი, გვ.57-58

¹⁰⁵ მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი, გვ.6

სამართლადამრღვევებზე, არამედ დანაშაულის მსხვერპლებზეც და მისთვის მიყენებულ ზიანს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. დანაშაულებრივ ქმედებაზე რეაგირების უმთავრესი მიზანია დამდგარი ზიანის აღმოფხვრა, გამოსწორება, დაზარალებულის და სამართალდამრღვევის რეაბილიტაცია.¹⁰⁶ სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაცია საერთაშორისო კონტექსტში იწოდება როგორც „დანაშაულის მსხვერპლსა და დანაშაულის ჩამდენს შორის მედიაცია“. მედიაციის პროცესში პირველ ადგილზე დაზარალებულის დასახელება აქცენტს აკეთებს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებასა და მნიშვნელობაზე.¹⁰⁷

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება არის ღონისძიება, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს.¹⁰⁸ არასრულწლოვნის მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში, განიხილება ყველაზე მსუბუქი საშუალება და ალტერნატიული ზომა, რათა მოხდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულად გათვალისწინება. თუკი ადრე აღდგენითი მართლმსაჯულება მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოიყენებოდა 2011 წლის 21 ივნისს სსს კოდექსში შესული ცვლილებებით სრულწლოვან ბრალდებულებსაც შეუძლიათ განრიდების საფუძველზე გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თუ ისინი აკმაყოფილებენ განრიდების გამოყენებისთვის სსს კოდექსით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

3.2 დაზარალებულის ჩართულობა მედიაციის პროცესში

მედიაცია განიმარტება, როგორც მხარეთა შორის კონფლიქტის გადაწყვეტის ნებაყოფლობითი და კონფიდენციალური პროცესი, რომელსაც წარმართავს და უძღვება ნეიტრალური მხარე - მედიატორი.¹⁰⁹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე უპირატესობა ენიჭება სისხლისსამართლებრივი

¹⁰⁶ გ.თუმანიშვილი, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ.256

¹⁰⁷ იქვე, 257-258

¹⁰⁸ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი

¹⁰⁹ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2014 წელი, გვ.273

დედნის ალტერნატიულ ზომებს. მსუბუქი და არარეპრესიული მექანიზმის გამოყენება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია- რეაბილიტაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. განრიდება - მედიაცია საშუალებას იძლევა ერთი მხრივ არასრულწლოვანი, რომელიც ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულს ჩაიდენს განარიდოს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამასთან, ხელი შეუწყოს ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას, არასრულწლოვნის გამოსწორებას. მეორე მხრივ, რეაგირების და ყურადღების გარეშე არ რჩება დაზარალებულის ინტერესი. განრიდება/განრიდება და მედიაცია შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით ხორციელდება: ა)ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა; ბ)ნებაყოფლობითობა; გ)პროპორციულობა; დ)კონფიდენციალურობა; ე)სტიგმატიზაციის დაუშვებლობა; ვ)არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება.¹¹⁰

თუ არსებობს განრიდებისა და მედიაციის გამოყენების წინაპირობები პროკურორი ხვდება როგორც ბრალდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს ასევე, დაზარალებულსაც. პროკურორი დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას განრიდებისა და მედიაციის პროცესის შესახებ და დაუმარტავს მას პროცესის დაწყების საფუძვლებს და მიზნებს. ასევე დაზარალებულს უნდა განემარტოს, რომ პროცესში მონაწილეობას მიიღებს მედიატორი. პროკურორი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ თავიდან აიცილოს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია. განრიდების პროცესის შესახებ დაზარალებულის შეტყობინებას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს, დაზარალებულის დამოკიდებულებას, მაგალითად თუ ის არ იქნება თანახმა განრიდების გამოყენებაზე, მნიშვნელობა არ ენიჭება გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაზარალებულის უარის მიუხედავად განრიდება მაინც გაფორმდება ბრალდებულთან. დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეიცვალოს აზრი და ჩაერთოს მედიაციის პროცესში.¹¹¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანების „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, საქმეში დაზარალებულის არსებობის შემთხვევაში პროკურორი, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანასთან ერთად უზრუნველყოფს პროცესში მედიატორის ჩართვას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, მედიატორი უკავშირდება დაზარალებულს, უხსნის მას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსს, პრინციპებს, მიზნებს, მისი მონაწილეობის შედეგებს და აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა დაზარალებულმა მედიაციაში

¹¹⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216-ე ბრძანება „განრიდება და მედიაციის შესახებ, მედიატორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე“, მე-4 თავი.

¹¹¹ იქვე, მე-3 თავი.

მონაწილეობაზე ინფორმირებული თანხმობა ან უარი განაცხადოს.¹¹² დაზარალებულის ინფორმირებულობას ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მან სრული ინფორმაციის გაანალიზების შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება ჩაერთოს თუ არა მედიაციის პროცესში. ასევე გაითვალისწინოს რა დადებითი ან უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება მის მიერ გაკეთებული არჩევანი მისი და ბრალდებულის პიროვნების შემდგომი განვითარებისთვის. განრიდების და მედიაციის ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის და დაზარალებულის ინტერესები. დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რადგან პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად უშუალოდ მიაღდა ზიანი თავს სახელმწიფოსგან გარიყულად და დაჩაგრულად არ გრძნობდეს და არ მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებას ემსახურება ბრალდებულის მიერ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც ერთგვარად დააკმაყოფილებს დაზარალებულს და გაუჩინს მას სამართლიანობის განცდას. მედიაციის პროგრამის ძირითადი მიზანი არის არასრულწლოვან ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესის წარმართვა, რათა მოხდეს შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადანყვეტა.¹¹³ საქართველოში მედიაცია განრიდების ფარგლებში გამოიყენება და დამოუკიდებელ ინსტიტუტად არ გვხვდება განსხვავებით ინგლისისაგან, სადაც მედიაციის გამოყენება სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზეა დაშვებული, როგორც არასრულწლოვანთა ისე სრულწლოვანთა მიმართ. მედიაცია დასაშვებია სასამართლოს მიერ გამამატყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდგომაც.¹¹⁴ მედიაციის პროცესი ხელსაყრელ შედეგს იძლევა როგორც დაზარალებულისთვის, ასევე ბრალდებულისთვის, რადგან დაზარალებული მონაწილეობს ბრალდებულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაში, ბრალდებული კი თავის მხრივ იღებს სარგებელს თავისუფლების სახით. მედიაციის მიზანი უფრო მეტად არის არა პიროვნების დასჯა, არამედ ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურებას აქვს ფაქულტატური მნიშვნელობა, რადგან ასეთ დროს დაზარალებულისთვის აღმოიფხვრება დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური ტრავმა, რაც ბრალდებულის მიერ მედიაციის პროცესში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით მიიღწევა.¹¹⁵ მედიაციის გამოყენება ამცირებს დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანიდან მომდინარე რისკებს. ბრალდებულს, რომელიც შეურიგდა დაზარალებულს და თავი აარიდა მძიმე სასჯელს ხელახალი დანაშაულის ჩადენის სურვილი უქრება და ხდება მისი რესოციალიზაცია,

¹¹² საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლი.

¹¹³ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2014 წელი, გვ.273

¹¹⁴ მ.გაბუნია, თ.ბერიძე, „მედიაციის კრიმინოლოგიური ასპექტები“, მართლმსაჯულება და კანონი N1(36), გვ.64

¹¹⁵ იქვე, გვ.67-68

დაზარალებული კი დაცულია ხელახალი ვიქტიმიზაციისგან. კლასიკური სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებული პასიური დამკვირვებლის როლშია და მას საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. პროცესის მთავარი ფიგურა ბრალდებულია და მთელი პროცესი მის გარშემო აგებული. მედიაციის დროს კი დაზარალებულის ინტერესებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, მას აღნიშულ პროცესში აქვს აქტიური სუბიექტის როლი, რომელსაც პროცესის წარმოებასა და შედეგებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. მედიაციის პროცესში დანაშაულის მსხვერპლისთვის ნათელი ხდება დანაშაულის მოტივი, ის თუ რატომ, რა მიზნით ჩაიდინა პირიმა ის ქმედება, რომლის მსხვერპლიც თავად გახდა. აღნიშნულის ცოდნა დაზარალებულს ეხმარება დამნაშავის მიმართ შიშის დაძლევაში, რაც საზოგადოებაში მისი რეინტეგრაციისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მედიაცია ასევე ხელს უწყობს მსხვერპლს აინაზღაუროს მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურება მედიაციის პროცესში მსხვერპლისთვის ბევრად მარტივია, რადგან მას აღარ უხდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა, რომელიც დროსთან და რესურსთან არის დაკავშირებული და შესაძლოა უშედეგოდაც დასრულდეს დამნაშავის გადახდისუუნარობის გამო.¹¹⁶

აღდგენითი მართლმსაჯულება ევროპაში და საქართველოშიც პოპულარული ხდება სწორედ იმ სარგებლიდან გამომდინარე, რაც რესტიტუციული ღონისძიებების გამოყენებას მოყვება დაზარალებულისა და ბრალდებულისთვის.

თავი IV. დაზარალებულის როლი პროკურორის მიერ დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას

4.1. პროკურორის მიერ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება

2010 წლის პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართალი სსაპროცესო კოდექსი. ახალმა საკანონმდებლო აქტმა ბევრი სიახლე შემოიტანა, მათ შორის პირველად ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ისტორიაში ოფიციალურად დაკანონდა დისკრეციის

¹¹⁶ გ. თუმანიშვილი, აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი, გვ. 270

პრინციპი.¹¹⁷ დისკრეციული უფლებამოსილება, თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.¹¹⁸ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს პროკურორი, რომელიც გამოძიების სტადიაზე წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას, სწორედ გამოძიების სტადიაზე ვლინდება პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის როლი და მნიშვნელობა და გასაქანი ეძლევა მისი უფლებების სრულ რეალიზაციას.¹¹⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებითაა; სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.¹²⁰

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება. გამოძიების დაწყებასა და შემდგომ მის გაგრძელებაში პროკურატურას ცენტრალური ადგილი უკავია. გამომძიებელი ვალდებულია გამოძიების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს, შესაბამისად იგი მთლიანად დამოკიდებულია პროკურორის დისკრეციულ გადაწყვეტილებაზე დაიწყოს გამოძიება თუ შეწყვიტოს უკვე დაწყებული. პროკურატურა სისხლისსამართლებრივ დევნასთან, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში ბრალდებლის მხარდაჭერის ძირითად ფუნქციებთან ერთად დაზარალებულის ინტერესების გამტარებელ სუბიექტადაც გვევლინება. დაზარალებული პროცესში მონაწილეობს და როგორც წესი, ჩვენებას აძლევს ბრალდების მხარის სასარგებლოდ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებითაა. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანებით არის დადგენილი. აღნიშნული დოკუმენტი აყალიბებს

¹¹⁷ გ. მეფარიშვილი, სამართლის პუბლიცისტიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014 წელი, გვ. 18

¹¹⁸ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2014 წელი, გვ. 164-165

¹¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2012 წელი, გვ. 10

¹²⁰ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 და 166-ე მუხლები.

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში.¹²¹ პროკურორისათვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება მრავალმხრივი ინტერპრეტაციის და ფართო ლავირების საშუალებას იძლევა. არასწორად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კონკრეტული პირის უფლებებს, მის ინტერესებს.¹²²

დაიწყოს თუ არა სისხლის სამართლებრივი დევნა პროკურორმა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით უნდა გადაწყვიტოს მათ შორისაა დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, აქედან გამომდინარე, პროკურორმა უნდა გააანალიზოს დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი და დაადგინოს, რამდენად შეესაბამება საჯარო ინტერესს დევნის დაწყება კონკრეტულ დანაშაულზე. მას აღნიშნული არჩევანის გაკეთების უფლება იმ შემთხვევაშიც აქვს, როდესაც მოპოვებული მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებენ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. პროკურორს გააჩნია შეუზღუდავი დისკრეცია სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტისას.¹²³ გადაწყვეტილების მიღებისას უმნიშვნელოვანესია იმ ფაქტორები თუ პოტენციური გავლენის განსაზღვრა, რაც შეიძლება დანაშაულს ჰქონდეს საზოგადოებასა თუ დაზარალებულზე. დაზარალებულზე ზეგავლენის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქიკური ფაქტორები. აუცილებელია დაზარალებულის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა მახასიათებლების მხედველობაში მიღება. მიუხედავად პროკურორის ვალდებულებისა დაიცვას საზოგადოებრივი ინტერესი და არა რომელიმე ინდივიდი, მან ყოველთვის უნდა მიიღოს მხედველობაში დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ინტერესები დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.¹²⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის მიხედვით, ბრალდების მხარე უფლებამოსილია არამართო გამოძიების, არამედ სასამართლო განხილვის ეტაპზეც უარი თქვას ბრალდებაზე ან მის ნაწილზე, აღნიშნული ნორმის მიხედვით, ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით. ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე პროკურორის მიერ უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით იღებს

¹²¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №181, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

¹²² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, რედ მ.მამნიაშვილი, ჯ.გახოკიძე, ი.გაბისონია, გამცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2103 წელი, გვ.128

¹²³ განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, GIZ, IRZ, 2014 წელი, გვ.164

¹²⁴ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №181, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

გადაწყვეტილებას ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

მართალია, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის დისკრეციას წარმოადგენს, მაგრამ საგულისხმოა, რომ გარკვეულწილად ამ პროცესში დაზარალებულის ჩართვაც ხდება, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს პროკურორი აფორმებს შესაბამისი დადგენილებით. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი, ხოლო დადგენილების გამოტანის შემთხვევაში გაუგზავნოს მისი ასლი დაზარალებულს და დგენილების გამოტანიდან 1 კვირის ვადაში.¹²⁵ ეს ხაზს უსვამს იმას, რომ მართალია, პროკურორს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ იმოქმედოს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღებაში დაზარალებული და მისი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება უნდა მოახდინოს.¹²⁶ დაზარალებული სარგებლობს უფლებით ზემდგომ პროკურორთან გასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარე დანაშაულის შემთხვევაში მას სასამართლოში გასაჩივრების უფლებაც აქვს. ზემოაღნიშნულის მსგავსი უფლებით სარგებლობს დაზარალებული გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. დაზარალებულ სუფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.¹²⁷ გარდა გასაჩივრებისა დაზარალებულს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება. გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, პროკურორი იღებს დადგენილებით. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლის სამართლებრივი

¹²⁵ სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

¹²⁶ თ. ლალიაშვილი „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი“, 2015 წ. „იურისტების სამყარო“, გვ. 269

¹²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დევენის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და შეადგინოს ოქმი. პროკურორი ორივე შემთხვევაში პირადად უნდა შეხვდეს და გაესაუბროს დაზარალებულს. შეხვედრისას დაზარალებულს უნდა განემარტოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მიზეზი, საფუძველი, მიზანი და უნდა მიეცეს საშუალება გამოხატოს თავისი აზრი. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დაზარალებულთან პირადი შეხვედრა ვერ ხერხდება დაზარალებულის საზღვარგარეთ ყოფნის, საგამოძიებო ორგანოდან მისი ტერიტორიულად დაშორებულ ადგილზე ცხოვრების ან სხვა ისეთი მიზეზის გამო, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის პროკურორთან მის პირად შეხვედრას. ამგვარ გამონაკლის შემთხვევებში, პროკურორმა შესაძლებელია დაზარალებულთან კონსულტაცია გაიაროს კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების (ტელეფონით, სკაიპით და ა.შ.) გამოყენებით.¹²⁸ დაზარალებულის საწინააღმდეგო პოზიცია არ აბრკოლებს პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან უფლებამოსილების გამოყენებას, თუმცა შესაძლოა დაზარალებულის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე.¹²⁹ პროკურორმა სისხლის სამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ორი ტესტით: მტკიცებულებითი და საჯარო ინტერესის ტესტით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ე.წ. სრულ ტესტს. მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა დაიწყოს პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან, ორივე ტესტი შეფასებითია, რაც პროკურორის მხრიდან განსაკუთრებულად ფრთხილ მიდგომას საჭიროებს. გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ სრული ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში. კერძოდ, როცა: ა)საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისათვის – მტკიცებულებითი ტესტი; ბ)სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი – საჯარო ინტერესის ტესტი.¹³⁰ მტკიცებულებით ტესტში იგულისხმება გარკვეულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე.¹³¹ საჯარო ინტერესის ტესტის განსაზღვრისას პროკურორმა უნდა გათვალისწინოს სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები, დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, პირის ბრალეულობის ხარისხი და მისი კრიმინალური წარსული, ბრალდებულის გამოძიებას თანთანამშრომლობის სურვილი, პიროვნული მახასიათებლების შესწავლა-ანალიზი,

¹²⁸საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, 2015 წ. გამომცემლობა „მერიდიანი“ გვ.486

¹²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, 2015 წ. გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ.357

¹³⁰საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის ბრძანება №181, „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“.

¹³¹ბ. მეურმიშვილი, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), 2014 წ. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“ გვ.180

მოსალოდნელი სასჯელი. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ინდივიდუალური ფაქტორის შეფასებასა და დასკვნებს. ამასთან, ყოველ კონკრეტულ სისხლისსამართლის საქმეზე ყველა ფაქტორის ერთდროულად განხილვა და გათვალისწინება არ არის აუცილებელი.¹³² პროკურორმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის მდგომარეობა. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს წარმოდგენა პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და გასაგები იყოს ის გარემოებები დამტკიცებულებები რითაც იხელმძღვანელა პროკურორმა გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოში შემოღებულია დისკრეციის ანგლო-ამერიკული ვარიანტი, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-განხორციელებისას სარგებლობს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებით და არ არის შეზღუდული კანონმდებლობის მოთხოვნებით. შესაბამისად, პროკურორის მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქართველოს მსგავსად ინგლისშიც ანალოგიურად ხდება. კერძოდ, ინგლისში გვირგვინის ბრალმდებელი სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სრული ტესტითა და მისი განმსაზღვრელი კომპონენტების - მტკიცებულებათა ბაზისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.¹³³

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო 3 წლის განმავლობაში (2016-2018 წ.წ.) განხილულ იქნა დაზარალებულის/მისი ადვოკატის ცხრა საჩივარი რვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებების გაუქმების თაობაზე (ორი საჩივარი შემოტანილი იყო ერთსა და იმავე საქმეზე). ამათგან, ექვს საქმეზე გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ხოლო 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო, ბრალდებულად პასუხისმგებაში მისაცემი პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.¹³⁴

¹³² იქვე, გვ. 186

¹³³ იქვე, გვ. 186-187

¹³⁴ განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე N18494, 04 ივლისი, 2019 წელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი N1-04203/18494, 05 ივლისი, 2019 წელი.

4.2 პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების პრობლემატიკა

სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას პროკურორი ხელმძღვანელობს მიზანშეწონილობის პრინციპით, მიუხედავად ამისა მაინც არ გამოირიცხება მისი მხრიდან სუბიექტივიზმის საფრთხე, რაც პირველ რიგში, დისკრეციის პრინციპის განუსაზღვრელობაში ვლინდება. საჭიროა სუბიექტივიზმის საფრთხის გამორიცხვის გზების მოძებნა.¹³⁵ პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის დამოკიდებული დაზარალებულის პოზიციაზე, გარკვეულწილად მაინც გადის ერთგვარ კონტროლს დაზარალებულის მხრიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში. ამ დროს პროკურორის გადაწყვეტილება ზემდგომი პროკურორის შეფასებას გადის, გადაწყვეტილება შესაძლოა კიდევ ერთხელ გადაისინჯოს ამჯერად უკვე სასამართლოს მიერ, თუ დაზარალებულისთვის ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება არ იქნება მისაღები. ამ შემთხვევაში, კანონმდებელი დაზარალებულს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას ორ შემთხვევაში უტოვებს - თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. არსებული მონესრიგებით დანაშაულის კატეგორიების მიხედვით განსხვავებული მიდგომაა დაწესებული, რითაც იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ პირის ინტერესები ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაუცველი დარჩეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლი თავის თავში მოიცავს სასამართლო განხილვის უფლებას, რომლის ერთ-ერთ ასპექტსაც წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვაზე აპელირება შეუძლია ყველა იმ პირს, რომელიც ჩივის, რომ არ მიეცა იმ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა, რომელსაც გააჩნია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების განხილვისა და სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.¹³⁶ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ეხება დაზარალებულსაც, ვისაც უშუალოდ მიაღვა ზიანი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებული მხარედ არ გვევლინება, სამართლიანი სასამართლოს უფლება არ გამოირიცხავს მის შესაძლებლობას საკუთარი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს

¹³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი, გვ.115-116

¹³⁶ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისათვის, 2008წ. გვ.48

ევალეზათ სისხლისსამართლის სამართალწარმოების იმგვარად წარმართვა, რომ არ მოხდეს მონშეთა და დაზარალეულთა ინტერესების საფრთხეში ჩაგდება.¹³⁷ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.¹³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და განონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა ამასთან, გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფს პირის განცდის ჩამოყალიბებას, რომ მას სამართლიანად მოექცნენ.¹⁴⁰ კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრება პირს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე კიდევ ერთხელ წარმოადგინოს საკუთარი პოზიციები, დაუპირისპირდეს მოპასუხე მხარეს, რაც ზრდის პირის სანდობის აღქმას სასამართლო გადაწყვეტილების შედეგისადმი.¹⁴¹ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ამ შემთხვევაში ვერ შეიზღუდება ისეთი ლეგიტიმური მიზნით, როგორც არის პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს გადატვითულობისგან დაცვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ თუ კი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.¹⁴² დაზარალეულის ინტერესია, მის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაული იქნეს გამოძიებული, რეალური დამნაშავე იდენტიფიცირებული, დანაშაული სწორად დაკვალიფიცირებული და, საბოლოოდ, საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ეფექტურ, ადეკვატურ ანაზღაურებას, ხოლო, მეორე მხრივ,

¹³⁷Doorson v. Netherlands, N20524/92, 26/03/ 1996

¹³⁸საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.1

¹³⁹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1

¹⁴⁰საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55

¹⁴¹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45

¹⁴²საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

სამართლიანობის განცდის დაკმაყოფილებას იმ გაგებით, რომ მის მიმართ ჩადენილი დანაშაული არ დარჩება რეაგირების გარეშე, რომ სახელმწიფო არ არის გულგრილი და ინდიფერენტული მისი პრობლემის მიმართ და რომ სწორედ სახელმწიფო წარმოადგენს გარანტიას მისი ინტერესების დაცვისთვის და უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. ადამიანს არ უნდა დარჩეს დაუცველობის განცდა ან შეგრძნება, რომ სახელმწიფო არ არის მონდომებული, მოტივირებული და ეფექტური ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უმთავრესი ფუნქციის შესრულებისას.¹⁴³

დიფერენცირებული მიდგომა გამოწვეულია დანაშაულის კატეგორიებით. პირს მხოლოდ იმიტომ ერთმევა სასამართლოსთვის მიმართვისუფლება, რომ მის წინააღმდეგ ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში პირის ინტერესი, რომ დიფერენცირებულად არ წაერთვას სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა. უფლების შეზღუდვის ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზანი, როგორცაა სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვა ვერ დააკმაყოფილებს უფლების შეზღუდვის თანაზომიერების პრინციპს, რადგან არანაკლებ მნიშვნელოვანია, თანასწორობის უფლებიდან გამომდინარე, პირი დაცული იყოს ამგვარ სფეროში დიფერენცირებისაგან და სხვა არსებითად თანასწორ პირთა ჯგუფების მსგავსად მიუწვდებოდეს ხელი კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებზე. სასამართლო კონტროლი არის ყველაზე ძლიერი და ეფექტური გზა, პროკურორი აიძულოს, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი.¹⁴⁴ევროპის კავშირის 2012/29/EU დირექტივის მე-11 მუხლის მიხედვით, თუ პროკურორის შეწყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს პროკურორის გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის უფლება. მართალია დირექტივის თანახმად, პროცედურული საკითხების მონესრიგება სახელმწიფოს ავტონომიას წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნულია, რომ ამგვარი პროცესი უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე და არ მოიცავდეს ბიუროკრატიულ პროცედურებს.¹⁴⁵

შესაბამისად, შესაძლებელია იმის თქმა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეზღუდვა, რომელიც დაზარალებულს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების უფლებას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის

¹⁴³საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10

¹⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50

¹⁴⁵ იქვე, II-48. აგრეთვე იხილეთ, Directive 2012/29/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA. https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-eu-legislation-criminal-law/directive-201229eu_en

დანაშაულის შემთხვევაში აძლევს ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოსა და თანასწორობის უფლებებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს ხელისუფლების ორგანოებისგან, რომ საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ მას შემდეგ, რაც შეიტყობენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ და არ დატოვონ საკითხი დაზარალებულის მიერ ოფიციალური საჩივრის შეტანის ინიციატივის ამარა.¹⁴⁶ ძლიერი სასამართლო კონტროლი კი იქნება პროკურორის მხრიდან ობიექტური გადანყვეტილების მიღების წინაპირობა.

თავი V. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსის შესახებ

დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე მსჯელობა აქტუალობას არ კარგავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და საერთაშორისო საზოგადოებაში, რასაც მოწმობს დანაშაულის მსხვერპლის სტატუსისა და მათი უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და რეკომენდაციები.¹⁴⁷ დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით შემუშავებულია არაერთი ღირეფტივა და რეკომენდაცია, საერთაშორის-სამართლებრივი აქტების მიღება ხელს უწყობს ევროკავშირის ფარგლებში დაზარალებულის უფლებების ზრდას რაც დადებით პროცესად უნდა შევაფასოდ. პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც დაზარალებულის უფლებებს ეხება არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის დეკლარაცია „დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ“.¹⁴⁸ დეკლარაცია მსხვერპლის ქვეშ მოიაზრებს პირს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაღდა ზიანი, სხეულებრივი ან მორალური ზიანის ჩათვლით, სულიერი ტანჯვა, მატერიალური ზარალი ან არსებითად დაირღვა მისი ძირითადი უფლებები იმ ქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რომელიც არღვევს მოქმედ ეროვნულ სისხლის სამართლის კანონს, მათ შორის კანონს, რომელიც კრძალავს ხელისუფლების დანაშაულებრივ ბოროტად გამოყენებას.¹⁴⁹ დეკლარაციის მიხედვით „მსხვერპლად“ ჩაითვლება პირი, დამოუკიდებლად იმისა, ზიანის მიმყენებელი დადგენილი, დაპატიმრებული, სამართალში მიცემული ან დასჯილი იქნება თუ არა, აგრეთვე დამოუკიდებლად ნათესაობრივი კავშირისა ზიანის

¹⁴⁶ Salikhov v. Russia, N 23880/05, 03/03/201, §102-103

¹⁴⁷ გ.ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, , გვ.53

¹⁴⁸ ი.ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N2(37), გვ.120

¹⁴⁹ Declaration of General Assembly of United Nation about Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985, § 1.

მიმყენებელსა და „მსხვერპლს“ შორის. ტერმინი „მსხვერპლი“ შესაბამის შემთხვევებში მოიცავს მსხვერპლის ახლო ნათესავებსაც ან კმაყოფაზე მყოფსაც. აგრეთვე პირებს, რომლებსაც მიაღდა ზიანი იმ მსხვერპლისათვის დახმარების აღმოჩენის მცდელობისას, რომლებიც იმყოფებოდნენ განსაცდელში, აგრეთვე პირებს, რომლებიც აღკვეთდნენ ზიანს.¹⁵⁰ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ დანაშაული ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ინვესტ როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ისე მისი ახლობლების სხეულის დაზიანებას და ფსიქოლოგიურ ტრამვას.¹⁵¹ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ემუხლისმე-2 ნაწილი საუბრობს ევროპარლამენტსა და საბჭოს მიერ დირექტივების მიღების აუცილებლობაზე სისხლის სამართლის საქმეებში სასამართლო გადაწყვეტილებების ხელშეწყობის მიზნით. ეს კი შექმნის სხვადასხვა პროცესუალურ საკითხზე მინიმალურ წესებსა და გარანტიებს. ამ მოსაწესრიგებელ საკითხებში ხელშეკრულება მოიაზრებს მსხვერპლის უფლებებსაც. ამავდროულად, ხელშეკრულება განმარტავს, რომ აღნიშნული წესების მიღება ხელს არ შეუშლის სახელმწიფოებს, შეინარჩუნონ ან დაწინაურონ შესაბამისი რეგულაციები ფიზიკური პირების დასაცავად. ევროკავშირის ფარგლებში მიღებული ინსტრუმენტები აყალიბებენ მთელ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა დაზარალებულთა დაცვის უზრუნველსაყოფად. ეს რეკომენდაციები მოიცავს დაზარალებულთა დაცვას ღირსებაშემლახველი მოპყრობისაგან როგორც სასამართლო დარბაზში, ისე მის გარეთ. აგრეთვე, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობას.¹⁵² დაზარალებულის ინფორმირებულობის უფლებასა და პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე ამახვილებს ყურადღებას ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის 28 ივნისის რეკომენდაცია „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ.“¹⁵³ დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით ევროკავშირის 2001 წლის 15 მარტის რეკომენდაცია მიუთითებს სახელმწიფოებს, რომ მათ ეროვნულ სისხლის სამართლის სიტემაში უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის მყარი უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, დაზარალებული დაცული უნდა იქნეს შესაძლო საფრთხისაგან, მას აუცილებლად უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზარალი, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება დაიკითხოს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. თუმცა რეზოლუცია არაფერს ამბობს ამ უფლებათა

¹⁵⁰ Declaration of General Assembly of United Nations about Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985, §2

¹⁵¹ ი.ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, მართლმსაჯულება დაკანონი N2(37), გვ.120

¹⁵² გ.ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია დადაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციოსამართლისმიმობილვა XII, გვ.54. აგრეთვე, Treaty on the Functioning of the EU, Article 82 2 (c), <http://bit.ly/2rL87UF> [20.09.2017].

¹⁵³ Recommendation №R 85 (11) OF COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS OF THE COMMITTEE TO MEMBER STATES ON THE POSITION OF THE VICTIM IN THE FRAMEWORK OF CRIMINAL LAW AND PROCEDURE, adopted by the Committee of ministers on 28 June 1985 at the 387th meeting of the Ministers' Deputies, § C (9), § B (7).

უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებებზე. ამ ღონისძიებათა განსაზღვრა სახელმწიფოთა უფლებათა, მთავარია მათი ეფექტიანობა.¹⁵⁴

დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის უფლებებს ჯეროვანი დაცვისა და ამ უფლებების რეალიზებისთვის ევროპულმა საბჭომ ევროპის კავშირის ქვეყნებთან ერთად შეიმუშავა ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელმაც საგრძნობლად გააფართოვა დაზარალებულის უფლებები და ხელშესახები გახადა მისი დაცვის გარანტიები. შედეგად 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტის წესები.¹⁵⁵ დაზარალებულის უფლებების მომწესრიგებელი წესები უნდა შეესაბამებოდეს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ 2012 წლის 29 სექტემბრის დირექტივას(2012/29/EU). აღნიშნული დირექტივით „დაზარალებულის უფლებების შესახებ“ მსხვერპლის ცნების ქვეშ მოიაზრება პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღვა ფსიქიკური, მენტალური, ემოციური ზიანი ან განიცადა ეკონომიკური დანაკარგი. დირექტივის მიხედვით მსხვერპლის სტატუსით სარგებლობს დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი პირის ახლო ნათესავიც(ოჯახის წევრი).¹⁵⁶ ამ პირებისათვის დირექტივა ითვალისწინებს აღიარებისა და პატივისცემის უფლებებს, ინფორმაციის სრულყოფილად მიღებისა და სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული გულისხმობს, რომ სამართალწარმოების განმახორციელებელმა ორგანოებმა მოუსმინონ მსხვერპლს სისხლის სამართლის პროცედურების დროს და მისცენ შესაძლებლობა, წარადგინოს მტკიცებულებები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლისათვის ინფორმაცია გასაგებ ენაზე იყოს მიწოდებული და მხედველობაში იქნას მიღებული მსხვერპლის პირადი მახასიათებლები, მისი ნაკლოვანებები, რამაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ინფორმაციის ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობაზე. უფრო მეტიც, დირექტივის მე-7 მუხლის მიხედვით, მსხვერპლი, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.¹⁵⁷

¹⁵⁴ ი.ჩხეიძე, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი N2(37), გვ.120. აგრეთვე, COUNCIL FRAMEWORK DECISION of 15 March 2001 on the standing of victims in criminal proceedings(2001/220/JHA)

¹⁵⁵ Directive 2012/29/EU of the European Parliament and the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA. https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-eu-legislation-criminal-law/directive-201229eu_en

¹⁵⁶ DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPIAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012, establishing minimum standardson the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Article 2.

¹⁵⁷ გ.ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, გვ.55. აგრეთვე, DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPIAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012, establishing minimum standards on the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Articles 3, 7, 10.

დაზარალებულის უფლებებს იცავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია, რომლის მე-13 მუხლის მიხედვით, ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან.¹⁵⁸ ადამიანის ძირითადი უფლებების ქარტიის 47-ე მუხლი იცავს სამართლიანი სასამართლოსა და ეფექტური მართლმსაჯულების უფლებას¹⁵⁹, მოცემული მუხლი აერთიანებს ევროპული კავშირის სამართლისგან ნაწარმოებ ყველაუფლებას. დაზარალებულ პირს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში უფლება აქვს, მოითხოვოს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების განხორციელება. ქარტიის ფარგლებში დაზარალებულ პირს შეუძლია ორივე უფლებით — სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებითა (კონვენციის მე-13 მუხლი) და საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით (კონვენციის მე-6 მუხლი) სარგებლობა. ძირითად უფლებათა ევროპული კავშირის ქარტიის 47-ე მუხლი დაზარალებულს აძლევს დამოუკიდებელი ტრიბუნალის წინაშე სამართლიანი და საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას, უფლებას კონსულტაციასა და წარმომადგენლობაზე, უფლებას სამართლებრივ დახმარებასა და უფლებას სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე.¹⁶⁰

ამდენად, აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს და გვერდი არ აუაროს დაზარალებულის ინტერესებს. ყველა ეს აქტი შეიცავს სასარგებლო მითითებებსა და სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესების დაცვასა და მისთვის ობიექტურად განხორციელებადი სერვისების ხელმისაწვდომობას. ამასთან, ზემოხსენებული დოკუმენტები განსაზღვრავენ მინიმალურ წესებს, ხოლო სახელმწიფოებს შეუძლიათ, განავრცონ ეს უფლებები და უზრუნველყონ უფლების დაცვა მაღალი ხარისხის გარანტიებით.¹⁶¹

¹⁵⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი, მე-13 მუხლი.

¹⁵⁹ CHARTER OF FUNDAMENTAL RIGHTS OF THE EUROPEAN UNION (2000/C 364/01), Official Journal of the European Communities, Article 47

¹⁶⁰ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018 წელი, გვ. 231-232

¹⁶¹ გ. ხატიაშვილი, „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი, გვ. 56

თავი VI. დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და უფლებამოსილება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის საპროცესო კანონმდებლობაში

6.1 დაზარალებულის საპროცესო მდგომარეობა საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში

იმ ქვეყნების სისხლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლებიც იყენებენ სამართალწარმოების ანგლოსაქსურ მოდელს, არ ცნობს ისეთ სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტს, როგორცაა დაზარალებული. ამის შედეგია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმების არარსებობა. დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში დაზარალებული პირი გამოდის როგორც ბრალდების მონმე და მისი როლი შემოიფარგლება ჩვენების მიცემით. დანაშაულით მისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო-სამოქალაქო წესით.¹⁶²

ამერიკაში დანაშაულის მსხვერპლსა და მის უფლებებზე აქტიურად ყურადღების გამახვილება 60-იანი წლებიდან დაიწყო, რაც კრიმინალის გაზრდილი რაოდენობით იყო გამოწვეული.¹⁶³ აშშ-ში, როგორც ფედერაციის ასევე ცალკეული შტატების დონეზე მიღებული სამართლებრივი აქტები დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის. შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლის ცნების განმარტებისას მითითებულია, რომ დაზარალებული არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა ფედერალური კანონმდებლობით ან ცალკეული შტატით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგად.¹⁶⁴

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაზარალებული ფაქტობრივად უუფლებო სუბიექტია და რეალურად მხოლოდ მონმის ფუნქციებს ასრულებს. დაზარალებული ბრალმდებლის „მოსიარულე სამხილია“. მასთან თანამშრომლობაზე ბევრადაა დამოკიდებული საქმის მიმდინარეობა და საბოლოო გადაწყვეტილების ბედი. მიუხედავად დაზარალებულის მნიშვნელობისა, მას აშშ-ს კანონმდებლობით რაიმე სპეციალური სტატუსი არ გააჩნია, ეს განპირობებულია იმით, რომ პროცესში არ იყოს ორი ბრალდებისა და ერთი დაცვის მხარე. მართალია, დაზარალებული არ სარგებლობს სპეციალური სტატუსით თუმცა მისი უფლებების დაცვა მაღალი ხარისხით არის გარანტირებული. ცალკეული კატეგორიის საქმეებზე აშშ-ს სისხლის

¹⁶² ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლი სამართალწარმოებაში“, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წელი, გვ.511

¹⁶³ Harvey Wallace and Cliff Robeson, *Victimology, Legal, Psychological and Social Perspectives*, Third Edition, Prentice Hall, is an imprint of „person“, 2011, pg. 134

¹⁶⁴ Charles Doyle, *Crime and Victim`s Right Act*, 18 U.S.C. 3771 (e), (Novinka books, New York, 2008, pg.5

საპროცესო სამართალი სამოქალაქო სარჩელსაც კი უშვებს, რომელსაც „სამოქალაქო სანქციის“ სახელწოდებით იცნობს. პირს, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულის შედეგად უფლება აქვს სამოქალაქო სარჩელი წარადგინოს და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. თუმცა, დაზარალებულისთვის ეს უფლება შეზღუდული ფარგლებით მოქმედებს, კერძოდ, სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება მხოლოდ მაშინ აქვს თუ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მაშინ როდესაც საქმე ეხება გენოციდს, ტერორიზმს ან კორუფციულ დანაშაულს. როგორც წესი, კლასიკური საერთო სამართლის სისტემისათვის დაუშვებელია ერთ პროცესში სისხლის და სამოქალაქო სამართლანარმოებაში შერეული ფორმით არსებობა. თუმცა, აშშ-ს სამართლისთვის უმთავრესი ამოცანაა დარღვეული უფლებების აღდგენა და აღნიშნული გამოწვევის სწორედ ამიტომ შეგნებულადაა დაშვებული. სამოქალაქო სარჩელის გარდა, ამერიკის სასამართლო რესტიტუციის ინტიტუტსაც იცნობს. აშშ-ს სამართლის მიხედვით, რესტიტუცია სასამართლოს მოთხოვნაა, რომლის საფუძველზეც ბრალდებული ან მსჯავრდებული იხდის ფულად თანხას ან ასრულებს რაიმე მოქმედებას დაზარალებულის სასარგებლოდ. დაზარალებულის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად არაერთი სპეციალური აქტია მიღებული, რომლებიც უზრუნველყოფს დაზარალებულთა პროცესუალურ დაცვას და მათთვის ზიანის ანაზღაურებას.¹⁶⁵

6.2 დაზარალებულის უფლებამოსილება კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში

გარდა ანგლოსაქსური სამართლის სიტემის მქონე ქვეყნებისა ასევე საინტერესოა კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების გამოცდილების გაცნობაც. სისხლის სამართლანარმოების კონტინენტური სისტემის სახელმწიფოებში „დაზარალებულის“ უფლებამოსილებებს ასრულებს კერძო ბრალმდებელი, თანამბრალდებელი, სამოქალაქო მოსარჩელე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა დაზარალებულს აღიარებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ.¹⁶⁶ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულს შეუძლია გამოვიდეს როგორც კერძო ბრალმდებელი (კერძო ბრალდების საქმეებზე), თანამბრალმდებელი (საჯარო ბრალდების საქმეებზე) და სამოქალაქო მოსარჩელე. დაზარალებული ან მისი მემკვიდრე უფლებამოსილია, სისხლის სამართლის პროცესში წარუდგინოს ბრალდებულს ქონებრივ-

¹⁶⁵ ი. ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი N2(13) გვ. 118-119

¹⁶⁶ ი. ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, ურნალი მართლმსაჯულება და კანონი N2(13) გვ. 119

სამართლებრივი მოთხოვნები, გამომდინარე მის მიერ სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის გამო. დაზარალებულს შეუძლია აღძრას გამოძიება კერძო ბრალდების წესით, შეურაცხყოფის, მიმონერის საიფუმლოების დარღვევის, სხეულის დაზიანების, მუქარის და კოდექსში სპეციალურად განსაზღვრულ სხვა დანაშაულთა საქმეებზე, პროკურატურაში წინასწარი მიმართვის გარეშე.¹⁶⁷ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მოიწვიოს ექსპერტი და გამოიძახოს მოწმეების. დაზარალებული აღნიშნული უფლებებით სარგებლობს, რადგან მას აქვს მხარის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში. გერმანიის სისხლის სამართალი არ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის და სამოქალაქო მოსარჩელის ცნებებს, ეს ცნებები სამოქალაქო სამართალშია გათვალისწინებული.¹⁶⁸

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებულის ცნება არ არსებობს, თუმცა მის სინონიმად გამოიყენება სამოქალაქო მოსარჩელის ცნება.¹⁶⁹ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ დანაშაულის ან გადაცდომის შედეგად მიაღვა ზიანი, უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი და ამის შემდეგ გამოვიდეს კომპეტენტური გამოძიების მოსამართლის წინაშე, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე. საფრანგეთის კანონმდებლობით, სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა დასაშვებია ნებისმიერ სტადიაზე, თანაც პროცესში არ ხდება შეტყობინება ამის შესახებ სხვა მხარეებისთვის. პროკურატურას, ბრალდებულს ან სხვა სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს, გაასაჩივროს სარჩელი. ამ შემთხვევაში, ან თუ სარჩელი ცნობილია მიუღებლად, გამოძიების მოსამართლე ვადებუელია, გამოიტანოს მოტივირებული დადგენილება. სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება აქვს, ჰყავდეს წარმომადგენელი და გამოძიების ნებისმიერ მომენტში შეატყობინოს გამომძიების მოსამართლეს არჩეული წარმომადგენლის შესახებ. წარმომადგენელთა რაოდენობა შეზღუდული არ არის. საფრანგეთის კანონმდებლობის მხედვით, სამოქალაქო მოსარჩელის უფლებები დამოკიდებულია იმაზე, თუ სასამართლოს რა შემადგენლობით განიხილება სისხლის სამართლის საქმე, კერძოდ, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გამასწორებელი ტრიბუნალი თუ პოლიციის ტრიბუნალი.¹⁷⁰

¹⁶⁷ ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლი სამართალწარმოებაში“, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წელი, გვ.512

¹⁶⁸ ი. ჩხეიძე, „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, უურნალი მართლმსაჯულება და კანონი N2(13) გვ.119

¹⁶⁹ იქვე, გვ.120

¹⁷⁰ ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლი სამართალწარმოებაში“, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წელი, გვ.512

დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობა დაახლოებული იყო კონტინენტური სამართლის მქონე ქვეყნებში არსებულ დაზარალებულის ცნებასთან. დაზარალებული იყო პროცესის მხარე და აქტიურად ერთვებოდა სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად დღეს მოქმედი დაზარალებულის ცნება საერთო სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებში მოქმედი ცნების მსგავსია რაც ეს გამოწვეულია ინკვიზიციური პროცესიდან შეჯიბრებით მართლმსაჯულების სიტემაზე გადასვლით.

დასკვნა და რეკომენდაციები

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს სამართლის დადგენა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უნიშვნელოვანესი ამოცანა. დაზარალებული, ხშირ შემთხვევაში, როგორც დანაშაულის უშუალო თვითმხილველი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს სამართლის დადგენაში. დაზარალებულს არ აქვს მხარის სტატუსი, რაც წმინდა შეჭიბვებითი პროცესიდან გამომდინარეობს, თუმცა ამის მიუხედავად მას შეიძლება მივანიჭოთ ისეთი უფლება, როგორცაა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობების დაყენება და მათი სასამართლოში წარდგენა, ამ გზით დაზარალებულს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამართლის დადგენაში. სისხლის სამართალი ორიენტირებულია სამართლებრივი წესრიგის აღდგენაზე, ასეთ პროცესში დაუშვებელია დაზარალებულს, როგორც პროცესის სუბიექტის უგუნებელყოფა, რადგან სწორედ საზოგადოების ერთი წევრის უფლებების დარღვევა იწვევს შემდგომ სამართლებრივი წესრიგის დარღვევასაც. დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი განიცდის, როგორც ქონებრივ, ფიზიკურ თუ მორალურ ზიანს, ასევე მას უჩნდება დაუცველობის, შიშის და საზოგადოებისგან იზოლაციის განცდა, რაც მოითხოვს კომპენსაციას. დაზარალებულს, გარდა ზიანის ანაზღაურებისა, უფლება აქვს იცოდეს ვინ და რატომ მიაყენა ზიანი. სამართლებრივი წესრიგი პირველ რიგში მსხვერპლის მიმართ უნდა აღდგეს, რადგან ის ყველაზე მეტადაა მომხდარით დაზარალებული.¹⁷¹

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს დაზარალებულისათვის ისეთ მნიშვნელოვან უფლებას, როგორცაა გასაჩივრება. აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს იქიდან, რომ კოდექსი დაზარალებულს აღარ განიხილავს მხარედ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყველა ეტაპზე, მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა დაზარალებული მხარეს - მას ყოველთვის ჰქონდა უფლება გაესაჩივრებინა გამომძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედება ზემდგომ პროკურორთან და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ზემდგომ სასამართლოში.¹⁷² იმისათვის, რომ დაზარალებული იქცეს პროცესის აქტიურ სუბიექტად და აღარ იყოს უფლებაშემზღუდული მონაწილე, მნიშვნელოვანია მიეცეს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილებების გასაჩივრების უფლება.

დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მისი ინტერესების გათვალისწინება, მოექცნენ ადამიანურად, მოუსმინონ, უთანაგრძნონ მას, სახელმწიფოსგან მიიღოს დახმარება, გაუქრეს შიშის გრძნობა, აუნაზღაურდეს

¹⁷¹ გ.თუმანიშვილი, „დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში“, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი, გვ.72

¹⁷² დ.კირიაული, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N2(29), გვ.141

მიყენებული დანაკარგი. ასევე, მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას დამნაშავის, მისი ადგილსამყოფელის შესახებ. აუცილებელია მოხდეს დაზარალებულის რეაბილიტაცია, რადგან რეაბილიტირებულ დაზარალებულს აქვს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა; რეაბილიტირებული დაზარალებული მომავალში ითანამშრომლებს გამოძიებასთან, შეინაჩუნებს სახელმწიფო ორგანოებისადმი ნდობას, იქნება სოციალურად აქტიური ადამიანი, წინ აღუდგება დანაშაულის ჩადენას, აღარ გახდება განმეორებითი დანაშაულის მსხვერპლი.¹⁷³ ამ მხრივ, აუცილებელია დაიხვეწოს დაზარალებული მოწმის დაკითხვის წესი, რათა ერთი მხრივ თავიდან ავიცილოთ მისი მეორეული ვიქტიმიზაცია, მეორე მხრივ კი სასამართლომ მიიღოს სრული და ამომწურავი ჩვენება მომხდარის შესახებ. დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოითხოვოს მაგისტრეტი მოსამართლის წინაშე დაკითხვა, ამგვარად დაზარალებული უფრო მეტად დაცულად იგრძნობს თავს და მეტი ნდობის პირობებში მისცემს სასამართლოს ჩვენებას, შესაბამისად ნაკლები იქნება იმის ალბათობა, რომ გამოძიების ეტაპზე დაირღვეს დაზარალებულის უფლებები.

დაზარალებული არის პირი, რომელმაც, ხშირ შემთხვევაში, ყველაზე უკეთ იცის დანაშაულის დეტალები, შესაბამისად მას უნდა მიეცეს სასამართლოს წინაშე დაკითხული მოწმეებისთვის დამაზუსტებელი კითხვის დასმის შესაძლებლობა. ამ უფლების მინიჭება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრალდებულთან მიმართებით, რადგან პროკურორს შესაძლოა დაკითხვისას გამორჩეს და ყურადღება არ გაამახვილოს მნიშვნელოვან დეტალებზე, რაც საბოლოოდ გადანყვეტილების მიღებისას არსებითი აღმოჩნდეს. დაზარალებულს კი, რომელმაც უშუალოდ განიცადა ზიანი არ გამოეპარება მსგავსი დეტალები და დამაზუსტებელი შეკითხვის დასმით შეეცდება სიმართლე ათქმევინოს ბრალდებულსაც და უბრალოდ მომწმესაც.

დაზარალებულს დღეს მოქმედი კოდექსით არ გააჩნია ისეთი უფლებები, რომელთა მეშვეობითაც შეძლებს დანაშაულის შედეგად დარღვეული უფლებების დაცვას, ზიანის ანაზღაურებას და საზოგადოებაში სრულფასოვან რეინტეგრაციას. შეჯიბრებითი პროცესის პირობებში მისთვის მხარის სტატუსის მინიჭება არ იქნება გამართლებული, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დაზარალებული უფრო მეტად და ეფექტურად იყოს ჩართული სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას.

¹⁷³მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი, გვ.97

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

ეროვნული კანონმდებლობა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია 29.05.19);
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია 29.05.2019);
4. საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (კონსოლიდირებული ვერსია 30.11.18);
6. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ (კონსოლიდირებული ვერსია 08.05.2019)
7. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის N181 ბრძანება „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის შესახებ“;
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216-ე ბრძანება „განრიდება და მედიაციის შესახებ, მედიატორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების დამტკიცების თაობაზე“;
9. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანება „არასრულწლოვანის მიმართ განრიდება/განრიდება და მედიაციის ძირითადი პრინციპების დამტკიცების შესახებ“;
10. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ - დაზარალებულის უფლებები (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>)
11. 2014 წლის 27 მაისის ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
2. გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია „დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“, Recommendation №R 85 (11) OF COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS OF THE COMMITTEE TO

MEMBER STATES ON THE POSITION OF THE VICTIM IN THE FRAMEWORK OF CRIMINAL LAW AND PROCEDURE;

3. COUNCIL FRAMEWORK DECISION of 15 March 2001 on the standing of victims in criminal proceedings (2001/220/JHA);
4. COUNCIL DIRECTIVE 2004/80/EC of 29 April 2004 relating to compensation to crime victims;
5. DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA;
6. CHARTER OF FUNDAMENTAL RIGHTS OF THE EUROPEAN UNION (2000/C 364/01);
7. Treaty on the Functioning of the EU, Article 82 2 (c), <http://bit.ly/2rL87UF> [20.09.2017].

სამეცნიერო ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013 წელი;
2. ბ.მეურმიშვილი „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე)“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წელი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 წელი;
4. გ.თუმანიშვილი „სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014 წელი;
5. მ.შალიკაშვილი „კრიმინოლოგია“ (სახელმძღვანელო), მესამე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი;
6. მ.შალიკაშვილი „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბილისი, 2013 წელი;

7. მ.შალიკაშვილი „ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წელი;
8. მ.შალიკაშვილი, გ.მიქანაძე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წელი;
9. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისის, 2007 წელი;
10. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მეხუთე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014 წელი;
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წელი;
12. ნ.გვენეტაძე, მ.ტურავა „სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბილისი, 2005 წელი;
13. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, ავტორთა ჯგუფი, რედ. მ.მამნიაშვილი, ჯ.გახოკიძე, ი.გაბისონია, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2012 წელი;
14. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, (ზოგადი ნაწილი), ავტორთა ჯგუფი, რედ. მ. მამნიაშვილი, ჯ. გახოკიძე, ი. გაბისონია, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2013 წელი;
15. თ.ლალიაშვილი, „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი“, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015 წელი;
16. შ.ტრექსელი, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2010 წელი;
17. „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი)“, სახელმძღვანელო იურისტებისათვის, INTERRIGHTS, თბილისი, 2008 წელი;
18. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018 წელი;
19. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, IRZ, GIZ, 2014 წელი;
20. The Role of Victims of Crime in the Criminal Trial Process, CONSULTATION PAPER, Victorian Law Reform Commission, JULY 2015;
21. Charles Doyle, Crime and Victim`s Right Act, 18 U.S.C. 3771 (e), (Novinka books, New York, 2008;

22. Harvey Wallace and Cliff Robeson, *Victimology, Legal, Psychological and Social Perspectives*, Third Edition, Prentice Hall, is an imprint of „person“, 2011.

სამეცნიერო სტატიები

1. ა. მახარაძე, „დაზარალებულის ცნება სისხლის სამართალწარმოებაში“, „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003 წელი;
2. ა. მახარაძე „ზიანის ცნება და პირის დაზარალებულად ცნობის პრობლემები“, ჟურნალი მართლმსაჯულება N1, თბილისი, 2009 წელი;
3. დ.კარიაული „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით“, სამართლის ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N2(19);
4. ი.ჩხეიძე „დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში“, სამართლის ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N2(37);
5. მ. ჰეგეი „ადვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობაში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამოწვევა“, გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, [www. dgstz.de](http://www.dgstz.de). 2016 წელი;
6. „დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი;
7. გ.ხატიაშვილი „სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა XII, 2019 წელი;
8. ბ. თანდილაშვილი „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით“, გერმანულ - ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, www. dgstz.de. 2016 წელი;
9. გ. თუმანიშვილი „დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში“, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2009 წელი;
10. გ.თუმანიშვილი „აღდგენითი (რესტორაციული) მართლმსაჯულება და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში“, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის

სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი;

11. თ. ლალიაშვილი „საპროცესო შეთანხმების დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა და მისი აღმოფხვრის გზები“, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013 წელი;
12. მ. გაბუნია, თ. ბერიძე „მედიაციის კრიმინოლოგიური ასპექტები“, სამართლის უერთალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N1(36);
13. „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისკენ, ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI), თბილისი, 2011 წელი.

სასამართლო გადაწყვეტილებები

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის Nას-1156-2011 გადაწყვეტილება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლო 2015 წლის 22 აპრილის N3/8106 განჩინება;
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის N1381/9602-18 ანჩინება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N21/12/1299,1242,1247,1299 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია, გვანცა გაგინაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/31/421/422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/21/558 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/81/594 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა მუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

9. Horncastle and others VS the U.K, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს N4184/10, 2014 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება;
10. Salikhov VS Russia, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს N23880/05, 2012 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება;
11. Doorson VS Netherlands, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს N 20524/92, 1996 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება;

ელექტრონული ვებ-გვერდები

1. <http://prevention.gov.ge/page/28/geo>
2. <http://www.pog.gov.ge/>
3. <https://matsne.gov.ge/ka>